# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 9 ოქტომბერი 2004 №235 (2256) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პატარა კაცის დიდი საქმე

### მე ვარ ქირესი, წავიდეთ ლვოვში



## ნუ დაიბანთ ხელებს კახური ღვინით!




## აჩუქეთ ხალხს ფეხბურთი!

### ამ სტადიონს არ უნდა ბერია, ამ სტადიონს უნდა მერია

თბილისობა ღამეს რესპუბლიკის მოედანზე სიამოვნებით გეახლებოდით მწვადს და კახური ღვინით ქართველების დღეგრძელობისა და გამარჯვებისას სულით, გულით და წყურვილით შევსვამდით, მაგრამ ნაღდი ფეხბურთის ყურება გვირჩევნია, ნაღდმა ქართულმა გუნდმა, „დინამომ“ ამ ბარაქიან შემოდგომას რომ გვაჩუქა. გამოღვიძებული ქვეყნის დედაქალაქის უფალნო, ნუ დაიბანთ ხელებს. ახლა უნდა „დინამოს“ ხელის წაშველება და ხალხს ახლა ყველაზე მეტად უნდა „დინამოს“ ქომაგობა. დაეხმარეთ ხალხს, „ეროვნულის“ ტრიბუნები ბოლომდე შეავსოს. ეს უფრო ეროვნული და მართალი საქმეა, ვიდრე თბილისობა დღეს ფოიერვერკის დაბათქუნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქირესმა საქართველო გააქცია



ალენ ქირესის მითითებები გუშინ უსიტყვოდ სრულდებოდა

... ამათ თუ ლვოვშიც ასე ირბინეს, უკრაინას შავი დღე დაადგება — გუშინ, საქართველოს ნაკრების ვარჯიშის შემხედვარე ხალხი ხშირად იმეორებდა ამ სიტყვებს.

ვერ გეტყვით, მწვრთნელმა გაჭრა, თურქეთ-ალბანეთთან წარმატებულმა თამაშმა, ფეხბურთელთა მომზადებამ თუ... ამინდმა, მაგრამ ფაქტია, ეროვნული გუნდის ფეხბურთელებმა გუშინ იმდენი ენერგია დახარჯეს, ნავარჯიშევს ზოგს სალამის თავიც არ ჰქონდა. ალენ ჟირესის შეგირდები ორსაათნახევარი არ გაჩერებულან, მოძრაობდნენ, ერთმანეთს აგულიანებდნენ და რაც მთავარია, ყველაფერ ამას ხალისით აკეთებდნენ.

ამინდმა კი ნაკრებს მომზადების გრაფიკი აურია. გუნდს საღამოს ავლაბარში, „ოლიმპზე“ უნდა ევარჯიშა, მაგრამ რომ მოიღრუბლა და წამოწვიმა, ჟირესი და კომპანია „ოლიმპის“ ჩინებულ გაზონს გაუფრთხილდა და „დინამოს“ დიღმის ბაზას მიადგა.

ხუთის ნახევარზე დაწყებული ვარჯიში, იქამდე გაგრძელდა, ვიდრე არ ჩამობნელდა და ბოლოს ბაზაზე პროჟექტორებიც კი აანთეს...

დიღომში გუშინ 19-მა ფეხბურთელმა ივარჯიშა. არ იყვნენ მხოლოდ რუსეთის პირველ დივიზიონში მოთამაშენი — გიორგი ლომაია და კახა მჟავანაძე. ისინი თბილისში დღეს ჩამოვლენ.

გუშინწინდელზე მეტი დატვირთვით ივარჯიშა გუშინ ზურაბ ხიზანიშვილმა, რომელსაც კუნთი აწუხებს... თუმც უკვე აღარ აწუხებს და, როგორც თავად გვითხრა, ხვალიდან გუნდსაც შეუერთდება.

ალენ ჟირესმა საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეებს, მეკარეების ზვიად სტურუასა და აკაკი დევაძის გარდა, ძალების აღდგენის საშუალება მისცა — დავით კვირკველია, გიორგი შაშიაშვილი, ჯაბა კანკავა, გივი კვარაცხელია, ლადო ბურდული და ლაშა სალუქვაძე ლეგიონერებისგან ცალკე მსუბუქად ვარჯიშობდნენ.

ლეგიონერებმა კი, როგორც ვთქვით, ერთმანეთს ლამის ფეხები წააცალეს, ძალიან მონდომებულნი ჩანდნენ და მწვრთნელის მითითებებსაც უსიტყვოდ ასრულებდნენ. ნაკრების ექიმებს, ჩანს, ბევრი საქმე არ აქვთ, მთელი ვარჯიშისას ისინი მხოლოდ ზურაბ ხიზანიშვილს დასტრიალებდნენ თავს. დღეიდან კი ექიმებს, ალბათ, ეს პაციენტიც აღარ ეყოლებათ.

მოკლედ, საქართველოს ნაკრები საუკრაინო სამზადისს დიდი შემართებით შეუდგა, რამაც ჩვენც დაგვაიმედა, იქნებ არც ლვოვიდან დაბრუნდეს ეროვნული გუნდი ხელცარიელი.

დღეს და ხვალ ნაკრებს ისევ ორჯერადი ვარჯიში ექნება.

**ქობა ინასარიძე**



ზურაბ ხიზანიშვილი



ნაკრების დებიუტანტი ზვიად სტურუა



ბატონო ზურაბ ჭიაბერაშვილო! მოგწონთ, ცარიელი ტრიბუნები?!

# იშოვეთ ფული!

## მერიამ დინამო და თბილისი ფეხებზე დაიკიდა

**ცუდი ამბავი** თბილისის მერიიდან: გუშინ ხმა გამოვიდა — ეროვნულ სტადიონზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებას არ ვაპირებთ და „დინამო“ სკამების პრობლემის მოგვარებას ჩვენ ნუ მოგვთხოვსო. ასეთი რამ ქალაქის მერმა თქვა თუ პრემიერმა, ეს ზუსტად არ ვიცით, თუმც ნაღდია, რომ ეს სიტყვები მერიის უფროსობაში ითქვა.

საქმე რასაც ეხება, ყველას ეცოდინება — ეროვნულ სტადიონზე 40 თუ 50 ათასი პლასტმასის სკამის 21 ოქტომბრამდე დამონტაჟება იქამდე, ვიდრე უეფას თასზე თბილისის „დინამო“ ფრანგულ „სოშოს“ უმასპინძლებს. ჯანდაბას 40-50 ათასი სკამი, მერია თურმე საერთოდაც ხელების დაბანას აპირებს და „დინამოს“ ირიბად უთვლის, რაც გინდა, ის გიქნიაო.

„დინამოს“ უთვლის და გამოდის, რომ მერია მთელ ქვეყანას ასე ეუბნება, ქვეყანას თუ არა, დედაქალაქს და მისი მოსახლეობის 90 პროცენტს, მას, ვინც ფეხბურთის ქომაგია.

თბილისის „დინამო“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე თამაშობს, „დინამო“ ევროპის იმ 40 გუნდთაგანია, ვინც ამ თასისთვის ბრძოლას აგრძელებს, „დინამომ“ საქართველოს ფეხბურთი, საერთაშორისო ანუ ნაღდი ფეხბურთი დაუბრუნა — ეს ორი-სამი სტრიქონი, ბატონო ჭიაბერაშვილო, ბატონო ბრეგაძევ, საკრებულოს თავმჯდომარევ, ბატონო ბეგაშვილო, თქვენს გასაგონად იწერება.

იქნებ დაფიქრდეთ და თბილისობა დღეს ცაში ფერად-ფერად ბუშტების გაშვებას რომ გვპირდებით თბილისელებს, ცოტაც დიდუბისკენ გაიხედოთ და ბუშტების გაშვებისა და ყეენობების ნაცვლად „ეროვნულზე“ მისულ ქომაგს დაჯდომის საშუალება მისცეთ.

და თუ ფული არ გაქვთ, იშოვეთ. ეგებ პოლიცია თუ ჯარი მაინც დარაზმოთ და სტადიონებზე უსაფრთხოება დაიცვათ.

ათამაშეთ თბილისის „დინამო“ თავის სტადიონზე — ეროვნულ სტადიონზე! ამას გთხოვთ „დინამო“, „დინამოზე“ მეტად კი ამას ქომაგი ითხოვს, ჩათვალეთ მთელი თბილისი.

თბილისის „დინამომ“ გადაჭედილ ეროვნულზე უნდა ითამაშოს! ეს „დინამომ“ დაიმსახურა და იმიტომ.

**ქობა ინასარიძე**

# მაურინიუმ რეალს კალაძე დაანახა

**ინგლისური** „ჩელსის“ პორტუგალიელმა თავკაცმა ჟოზე მაურინიუმ მადრიდის „რეალის“ ჩავარდნაზე კომენტარი გააკეთა და... საამისოდ კახა კალაძის ხსენება დასჭირდა.

რატომ? იმიტომ, რომ მაურინიუ ასე ფიქრობს: „რასაც მე ვხედავ, „რეალი“ დაშლილია. ეს გუნდი უმაღლესი კლასის ვარსკვლავებითაა გადაჭედილი და პრობლემაც აქ არის. „რეალს“ არ ჰყავს საშუალო დონის, მუშა ფეხბურთელები. ამდენ ვარსკვლავს ერთი-ორი ისეთი ფეხბურთელი სჭირდება, როგორიცაა მაგალითად ჯერემი, რომელსაც ჩემი ნებისმიერი დავალების შესრულება შეუძლია“.

სხვათა შორის, ჯერემი „ჩელსიში“ სწორედ „რეალიდან“ მოხვდა.

ჰო, მაურინიუს ნათქვამს დავუბრუნდეთ: „ფეხბურთელების შერჩევით საუკეთესოა „მილანი“. კი, ამ გუნდსაც ჰყავს ვარსკვლავები, მაგრამ არიან სხვებიც — ამბროზინი, კალაძე და დალ ტომასონი. აი, ესაა „მილანსა“ და „რეალს“ შორის განსხვავება.“

**კახა შალამბერიძე**





# რატომ არის ლვოვი ფოთი?

**ერთი** საინტერესო ამბავი — უკრაინის და საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების მატჩებით თურმე უკრაინული ფეხბურთის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო პროგრამა იხსნება.

— ყველაფერი მზადაა და მალე პროგრამის მთავარ კონფერენციასაც ჩავატარებთ, მთავრობის პირები ვეტერანებს, ფეხბურთელებს და ყველა ღვაწლმოსილ ადამიანს დააჯილდოვებენ. 110 წელი ცოტა არ არის და ეს თარიღი სერიოზულად უნდა აღვნიშნოთ — განაცხადა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა სერგეი სტოროჟენკომ.

საქართველო კი ამ ამბავში იმიტომ „გაერია“, რომ უკრაინასთან მატჩი ქალაქ ლვოვში ჩატარდება. სწორედ ლვოვია უკრაინული ფეხბურთის ფოთი ანუ დაბადების დაგილი — ლვოვში, სტრისკის პარკში, 110 წლის წინ ისტორიული მატჩი შედგა ლვოვის „სოკოლსა“ და კრაკოვის „სოკოლს“ შორის.

13 ოქტომბერს, უკრაინა — საქართველოს მატჩის დღეს, ამ პარკში სამახსოვრო ქანდაკება დაიდგმება.

**კახა შალამბერიძე**

ფეხბურთი
ფკ ამერის საფეხბურთო სკოლა
პირველი ლიგა
9 ოქტომბერი
მერვე ტური
ამერი — ჩიხურა
თბილისი    საჩხერე
დასაწყისი 15 საათზე. დასწრება უფასოა
მის: თიანეთის გზატკეცილი 25
(გლდანულას გადასახვევთან)

# ვინ ირბენს უფრო მაგრად?



## ფეხბურთელები ჩემგან იმუხტებიან
# ტყებუჩავას გეგმა ქულაა

გუშინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საუკრაინოდ სასტუმრო „სიმპათიაში“ შეიკრიბა და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გოჩა ტყებუჩავამ პრესკონფერენციაც გამართა.

ჩვენი ოცდაერთწლამდელები უკრაინელ თანატოლებს 12 ოქტომბერს დაუპირისპირდებიან ქალაქ ჩერნოვოგრადში, რომელიც ლვოვიდან ერთი საათის სავალზეა.

უკრაინასთან ორი წამყვანი ფეხბურთელი გამოგვაკლდება — მცველი გიორგი ციმაკურიძე და ნახევარმცველი გოგიტა გოგუა — ისინი წინა მატჩში ალბანეთთან გააძევეს და უეფადან სამმატჩიანი დისკვალიფიკაციაც აიკიდეს.

გოჩა ტყებუჩავამ ნაკრებში სამ ახალწვეულს უხმო: კონსტანტინე დარსანიას („ჩერნო მორე“, ბულგარეთი), ნუკრი რევიშვილს („ტორპედო“) და გელა ხუბუას („სპარტაკი“).

ორი ფეხბურთელი კი ახალგაზრდულ ნაკრებს ტრავმების გამო გამოაკლდა — როსტოველი მამუკა ლომიძე და დინამოელი შოთა გრიგალაშვილი.

პრესკონფერენცია ტყებუჩავამ სწორედ იმით დაიწყო, რომ თქვა, ასეთი დანაკლისის გამო გუნდში სავალალო მდგომარეობა შეგვექმნაო. პრესკონფერენციაზე იყო ტყებუჩავას თანაშემწე ნიკა ჩხეიძეც, რომელმაც გვითხრა, ქუთაისის „ტორპედოდან“ მეკარე რევიშვილი იმიტომაც მოვიწვიეთ, რომ ის საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების რეალური წევრია და ჩვენთან ყოფნა ამადაც წაადგება და საერთოდ, სულ ვცდილობთ შეკრებაზე სამი მეკარე გამოვიძახოთ, რათა კანდიდატებს უკეთ დავაკვირდეთო.

ჟურნალისტებისა და ტყებუჩავას კითხვა-პასუხი კი ასეთი გახლდათ.

— გუნდში დანაკლისი გაქვთ და ალენ ჟირესთან ხომ არ გილაპარაკიათ იმის თაობაზე, რომ ჯაბა კანკავა დაგითმოთ?

— ჟირესს კანკავაზე ვესაუბრე და ვთხოვე, თუ დაგვითმობთ, მხოლოდ ერთ ტაიმს ვათამაშებ-მეთქი, მაგრამ უარი მივიღეთ.

— ფეხბურთელებს სულ აგრესიისკენ მოუწოდებთ და წინა მატჩში ალბანეთთან ციმაკურიძე და გოგუა გააძევეს, რის გამოც ახლა რთულ სიტუაციაში აღმოჩნდით...

— აგრესიისკენ მაინც მოვუწოდებ ჩემს ფეხბურთელებს, მაგრამ ეს საფეხბურთო წესების ფარგლებში უნდა მოხდეს. გაძევებები, რა თქმა უნდა, სავალალო აღმოჩნდა ჩვენთვის და ამის შესახებ ფეხბურთელებს საგანგებოდ დაველაპარაკები. ისიცაა, რომ რასაც ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატზე პატიობენ ფეხბურთელებს, ამას საერთაშორისო სარბიელზე არავინ გაპატიებს.

— ფსიქოლოგის მიწვევას ხომ არ აპირებთ?

— არა, ვგრძნობ, რომ ფეხბურთელები ჩემგან იმუხტებიან.

— მეტოქეზე რას იტყვით?

— უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების დანიასთან და ყაზახეთთან მატჩების ფირს ვუყურე. ინფორმაციას უკრაინა — საბერძნეთის თამაშზე ჩვენგან მივლინებული პიროვნებისგან შევიტყობთ. უკრაინელი ახალგაზრდები ლობანოვსკის სტილში თამაშობენ, აქცენტი ფიზიკაზე და პრესინგზე აქვს გადატანილი — თუმც მათ უკვე ახალი მწვრთნელი ჰყავთ — ალექსეი მიხაილიჩენკოს ხელში როგორ ითამაშებენ, ჯერ არ ვიცი. რაც ვნახე, მეკარე და დაცვა არ მომეწონა, ნახევარდაცვა და თავდასხმა კი უკრაინელებს კარგი ჰყავთ.

— საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებს თურქეთთან და ალბანეთთან მოპოვებული ოთხი ქულის პრემია არ აუღიათ...

— ამის შესახებ ველაპარაკე ფედერაციის ხელმძღვანელობას და ვფიქრობ, ეს საკითხი მოგვარდება.

— უკრაინასთან წარმატებულად რა შედეგს ჩათვლით?

— უკრაინაში ქულას ვგეგმავ. უკრაინელებს სირბილში არაფერი არ უნდა დავუთმოთ, თორემ...

**დავით თაგართქილაძე**

## საუკრაინო საქართველო

*მეკარეები:* ირაკლი თოთლაძე (დინამო), ბექა შეყრილაძე (თბილისი), ნუკრი რევიშვილი (ტორპედო);

*მცველები:* შოთა კაშია, დავით გიგაური (ორივე დინამო), დავით იმედაშვილი (ვიტ ჯორჯია), გიორგი ონიანი (ლოკომოტივი), გელა ხუბუა (სპარტაკი), თენგიზ ჩიკვილაძე (ბათუმი);

*ნახევარმცველები:* თეიმურაზ ბურნაძე (შერიფი, მოლდოვა), კახა ალადაშვილი (დინამო), კონსტანტინე დარსანია (ჩერნო მორე, ბულგარეთი), გოჩა ხოჯავა, რევაზ გეწაძე (ორივე თბილისი);

*თავდამსხმელები:* ირაკლი მოდებაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), ოთარ მარცვალაძე (ვიტ ჯორჯია), გიორგი ჭელიძე (ბათუმი), სანდრო იაშვილი (თბილისი).

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი
# ჩვენი მეტოქეები

### უკრაინა — საბერძნეთი

# ანდრეი შევჩენკომ უკრაინა შეაშინა

უკრაინელები დიდ გულზე არიან. აქამდე ვერავინ ბედავდა იმის თქმას, ბერძნებს მოვუგებთო, მაგრამ ახლა საქმე სხვაგვარადაა — ჩვენ ოთხი ქულა ავიღეთ, ბერძნებს კი ევროპის ჩემპიონატის მერე უჭირთ და უნდა დავამარცხოთო — იმუქრებიან მასპინძლები.

ოლეგ ბლოხინის გუნდში მთავარ პრობლემად დაცვის ხაზი ითვლება. მწვრთნელი ყოველ პრესკონფერენციაზე მისტირის დაშავებულ იური დმიტრულინს, თუმც იქვე ამბობს, წუწუნს აზრი არა აქვს და მოსაგებად არაფერს დავიშურებთო.

ბერძნებთან სათამაშოდ ამზადებენ ანდრეი შევჩენკოს. ცოტა ხნის წინ ითქვა „შევას“ პრეტენზიულ განცხადებაზე, თითქოს ფეხბურთელს შემოუთვლია, ან ბერძნებთან მათამაშეთ ან ქართველებთანო. ამ ხმებს გაგრძელება არ მოჰყოლია, მაგრამ უკრაინელები მაინც შიშობენ, ვაითუ 9 ოქტომბრის მატჩის მერე ანდრეიმ მართლა დაჰკრას ფეხი და „მილანში“ დაბრუნდესო.

მოკლედ, უკრაინის ნაკრებში მთლად დალაგებულად არ არის საქმე და პანიკაც იგრძნობა. ამას ბლოხინის „ლუბიმჩიკის“, დნიპროელი რუსლან როტანის ტრავმაც ემატება და მწვრთნელებს ჟურნალისტებიც უბურღავენ ტვინს „ჩამჭრელი“ კითხვებით. ბლოხინი კი ამბობს: „ვიცი, რომ ვერ ვთამაშობთ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ საქმეს შუა გზაზე არ მივატოვებთ“.

ასეა თუ ისე, უკრაინელები ცდილობენ, სიმშვიდე შეინარჩუნონ და ნაკრები შეძლებისდაგვარად გაამხნევონ. ახლახან „კომანდამ“ გამოკითხვაც მოაწყო უმაღლესი ლიგის გუნდების მწვრთნელთა შორის და აბსოლუტურმა უმრავლესობამ ბერძნებთან და ქართველებთან მატჩებში ექვსი ქულის აღება იწინასწარმეტყველა. მწვრთნელების პროგნოზებიდან ყველაზე პოპულარული ანგარიშები ასეთია: უკრაინა — საბერძნეთი 2:1 და უკრაინა — საქართველო 2:0.

თავად ნაკრების წევრები კი შედარებით თავს იკავებენ და აცხადებენ, სულ მცირე, ოთხი ქულა უნდა ავიღოთო.

ცალი თვალით ბერძნების ბანაკშიც შევიხედოთ. ოტო რეჰაგელის გუნდს ბოლო სამი მატჩია, არ მოუგია — ჯერ ჩეხეთთან ამხანაგურ შეხვედრაში 0:0, ხოლო შესარჩევ ეტაპზე ალბანეთთან 1:2 მარცხის მერე თურქეთს შინ ვერ აჯობა (0:0).

ახლა რეჰაგელი ოპტიმისტურად უყურებს უკრაინასთან შეხლას, თუმც პრობლემებიც თავზესაყრელად აქვს — დიმიტრის პაპადოპულოსი ტრავმირებულია და სებერძნეთში დარჩა, ანგელოს ხარისტიასის თამაშიც საეჭვოა, წელი სტკივა. აი, მეკარე ანტონის ნიკოპოლიდისი კი „აჭრილია“ — საბერძნეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში მსაჯს ხელთათმანები ესროლა და ჟურნალისტების რისხვაც დაიმსახურა. როგორც ამბობენ, ნიკოპოლიდისს სასჯელიც არ ასცდება.

რეჰაგელს კი ბლოხინთან თავისი ანგარიში აქვს. „ცოტა ხნის წინ ოლეგ ბლოხინს შტუტგარტში შევხვდი, ერთმანეთი მოვიკითხეთ, ვისაუბრეთ. მან მითხრა, რომ უეჭველად დამამარცხებს. ვნახოთ...“

ჰოდა, ვნახოთ. ანგარიშისა რა გითხრათ და ის კი გვინდა, უკრაინამ ბლომად ძალები დახარჯოს, რათა ოთხ დღეში...

ოთხ დღეში საქართველომ უნდა გაგვახაროს.

**ბახა შალამბერიძე**



უკრაინელები საბერძნეთს ანდრეი შევჩენკოთი ემუქრებიან

### ალბანეთი — დანია

# ბრიგელის სახალხო მოწოდება: შქომაგეთ მრთ პროცენტს!

ორი წელია, ალბანეთის ეროვნული ნაკრები შინ არ დამარცხებულა — მას შემდეგ, რაც გუნდი გერმანელმა ჰანს-პეტერ ბრიგელმა ჩაიბარა. დღეს ნავსის გატეხვას დანია შეეცდება, თუმც მორტენ ოლსენის გუნდს მთლად კარგად არ აქვს საქმე.

დაახლოებით ორი კვირის წინ ბრიგელმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, ალბანეთის ნაკრებს გერმანია 2006-ზე მოხვედრის ერთპროცენტიანი შანსი აქვსო. გერმანელმა ამით თადარიგი დაიჭირა თუ სხვა რამ მიზანი ამოძრავებდა, დიდად მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს — ფაქტი ისაა, რომ ტირანაში ალბანეთთან თამაში ნებისმიერ ნაკრებს უჭირს.

ალბანელთა მთავარი დანაკლისი დონეცკის „მეტალურგის“ მცველი ელვინ ბექირი გახლავთ — ის 8 სექტემბერს თბილისში გააძევეს.

კიდევ, ჰერ ბრიგელმა გუშინ ალბანელ ხალხს მოუწოდა, მხურვალად გვიქომაგეთო.

რაც შეეხება დანიას, გუნდის პირველი მეკარის ტომას სორენსენის თამაში ტრავმის გამო ერთობ სათუოა. დანიელებს არ ეყოლებათ დაცვის ბურჯი მარტინ ლაურსენი, რომელიც დაშავებულია. ვერ ითამაშებს მარჯვენა მცველი კასპერ ბოგელუნდი, ფორვარდი პიტერ მადსენი და სამი შუახაზელი: კლაუს იენსენი, დანიელ იენსენი და მორტენ ვიგჰორსტი — ყველა ტრავმირებულია, თუმც ამ სამეულის სრულფასოვნად შეცვლა ოლსენისთვის დიდი პრობლემა არ უნდა იყოს.

**დავით თაგართქილაძე**

### თურქეთი — ყაზახეთი

# თურქებმა, ბოსფორის ხარის რქები ველარ ხნავენო...

თურქეთის ნაკრების თავკაცი ერსუნ იანალი ან ზედმეტად რისკიანია, ან ღრმა ტაქტიკური ხნულები აქვს ტვინში. ამ კაცმა ერთი ხელის მოსმით უარი თქვა ოსმალოთა თილისმა ჰაკან შუქურზე, რომელსაც 97 სანაკრებო მატჩში 46 გოლი გაუტანია.

დღეს თურქები შინ ყაზახეთს მასპინძლობენ და, ალბათ, დაგეგმილ სამ ქულას უპრობლემოდ მიითვლიან. შესარჩევ ციკლში უხეირო სტარტმა იანალი შეაშფოთა და ორშაბათიდან სტამბულის ბაზაზე ჰყავს გუნდი გამოკეტილი, თუმც თურქები ყაზახებთან მატჩს საკოპენჰაგენო სამზადისად უფრო განიხილავენ — 13 ოქტომბერს ხომ ჩვენი ჯგუფის ფავორიტ დანიას სტუმრობენ. შუა აზიელთა თავკაცი სერგეი ტიმოფეევი კი არც მალავს, რომ სტამბოლში მარტივ ტაქტიკას, კონტრშეტევას აირჩევს.

დავუბრუნდეთ ჰაკან შუქურს, რომლის ნაცვლად იანალმა ახალგაზრდა ფორვარდებს უხმო. „ბოსფორის ხარის“ თანაკლუბელ, „გალათასარაის“ ნეჩატს და გერმანული „კაიზერსლაუტერნის“ ჰალილს, რომელსაც ეროვნული ნაკრების ფორმა არასოდეს მოურგია. ერსუნ-ხოჯა უცნაურ გადაწყვეტილებას ასე ხსნის — ახალ გუნდს ვაშენებ და ტაქტიკაც ახალი მექნება, გუნდური თამაში უნდა დავნერგო, შუქური მაღალი კლასის ფორვარდი კი არის, მაგრამ ინდივიდუალისტია და ასეთებს ჩემს სქემაში ვერ ვხედავო.

ასე რომ, თუ იანალი პოსტზე დარჩა, თურქები გაისად თავიანთი მთავარმეგოლის გარეშე გვეწვევიან...

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს უმაღლესი ლიგა 16 ჩემპიონატი მეორე წრე 10 ტური მიმოხილვა

# ეს ფეხბურთელის ფეხებია

რამდენი ულაპარაკიათ ქალების ფეხებზე, ჩვენ კი ფეხბურთელის ფეხებზე ვილაპარაკოთ.

ძველი თქმაა: მაგას ტვინი ფეხებში ჰქონდაო.

ეს ნიშნავს, რომ დიდი ფეხბურთელი იყავი.

ფეხბურთელების ფეხები, ყველაზე საოცარი ინსტრუმენტია დედამიწის ზურგზე არსებულ ინსტრუმენტებს შორის. მათ გარდა, ყველაფერი ხელსაწყოა. ანუ ადამიანს ხელსაწყო სჭირდება, რომ რაღაც საოცრება შექმნას: კალამი, ფუნჯი, საჭრეთელი... უბრალო ჩაქუჩიც კი.

ფეხბურთელს კი სილამაზის შესაქმნელად ფეხები აქვს, სხეულის არცთუ მაინცდამაინც მოქნილი ნაწილები.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი კეთილაძის ფოტო

**ამიტომ, ფეხბურთელის ფეხები, ყველაზე მაგარი ხელსაწყოა მსოფლიოში. სხვა ასე ნატანჯი ხელსაწყოც არ არსებობს. ამდენი იარა, ამდენი დარტყმა, ამდენი წვალება. და მაინც, ფეხბურთი. ამ ფოტოს კი შეიძლება ასე დავარქვათ: საქართველოს ჩემპიონატი, „თბილისი" — „ზესტაფონი", ტრავმირებული ვოვა ქუთათელაძე.**

# ასე არ შეიძლება!




*ბადრი კეთილაძის მაინც გადაღებული ფოტოები*

**ხომ გახსოვთ,** კონი კორლეონეს ქორწილში, მისი ძმა სონი ფოტოგრაფს აპარატს რომ დაუმტვრევს? სონი კორლეონე მაფიოზია და მისი ამგვარი საქციელი ახსნადია. მაგრამ სრულიად გაუგებარია, რატომ უკრძალავს ილია კოკაიას პირადი მცველი ფოტოგრაფს ბოსისთვის სურათის გადაღებას. მით უფრო, თუ ფოტოგრაფი „ზესტაფონის" პრეზიდენტის „ჩაკარტოჩკებას" სტადიონზე, ანუ საჯარო თავშეყრის ადგილას ცდილობს. სამართლიანობისთვის კი შევნიშნოთ, რომ მცველს სონი კორლეონესავით მოქცევა და აპარატის დამტვრევა არ უცდია.

ისიც არ უნდა იყოს მთლად სწორი, მატჩის წინ ინტერვიუსთვის მისულ ჟურნალისტს ბატონი ილია რომ პასუხობს, ნამატჩევს დაგელაპარაკებით, ოღონდ, კარგ ხასიათზე თუ ვიქენიო.

და არც ის უნდა იყოს სწორი, თემურ მახარაძე შესვენებისას „ზესტაფონის" გასახდელში რომ შედის და გუნდს მოძღვრავს, იქიდან გამოსული კი ჟურნალისტს „უმალავს", „ზესტაფონთან" არაფერი მაკავშირებს, რიგით გულშემატკივრად ვარ მოსულიო.

როგორც „ბეღურების გადაფრენის" ერთი უსახელო გმირი იტყოდა: ასე არ შეიძლება!

| ვიტ ჯორჯია | 2:1 | კოლხეთი |
|---|---|---|
| ლოკომოტივი | 1:0 | ტორპედო |
| სიონი | 0:1 | დინამო |
| ბათუმი | 2:0 | დილა |
| თბილისი | 2:0 | ზესტაფონი |

# პირველი და განსაკუთრებული

იმდენი წერეს გაზეთებმა, „ტორპედო" დაუმარცხებელიაო, რომ... ასე დაიწყო მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია ქუთაისელთა დამრიგებელმა ოთარ გაბელიამ.

ყველაფერი პირველი მართლაც განსაკუთრებულია და ალბათ, წაგებაც. მიმდინარე ჩემპიონატში სამგზის ჩემპიონი პირველად დამარცხდა და ეს ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა.

„ლოკომოტივი" – „ტორპედო" იმითაც იყო ღირსახსოვარი, რომ „ლოკომოტივის" უფროსობამ თამაშზე ბავშვები ისტუმრა – ჯანმრთელობაშერყეული და მშობელთა სითბოს მოკლებულები.



ბადრი კეთილაძის ფოტო

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 6-მეგრელაძე | ტორპედო |
| ჭელიძე | ბათუმი |
| ბოგოხიძე | ლოკომოტივი |
| 5-კაკალაძე | დინამო |
| ხომერიკი | ბათუმი |
| 4-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| მელქაძე | დინამო |
| ოდიკაძე | თბილისი |
| გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| მერებაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| მიქაძე | თბილისი |

## მომდევნო ტური

16 ოქტომბერი, შაბათი

კოლხეთი – თბილისი

ბათუმი – ლოკომოტივი

დილა – სიონი

ზესტაფონი – ტორპედო

დინამო – ვიტ ჯორჯია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 7 | 2 | 1 | 24:7 | 23 |
| ტორპედო | 10 | 6 | 3 | 1 | 15:4 | 21 |
| ბათუმი | 10 | 6 | 2 | 2 | 17:6 | 20 |
| თბილისი | 10 | 6 | 2 | 2 | 21:12 | 20 |
| ლოკომოტივი | 10 | 5 | 4 | 1 | 15:4 | 19 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 5 | 2 | 3 | 19:14 | 17 |
| სიონი | 10 | 2 | 1 | 7 | 9:26 | 7 |
| ზესტაფონი | 10 | 2 | 0 | 8 | 6:26 | 6 |
| დილა | 10 | 1 | 1 | 8 | 6:19 | 4 |
| კოლხეთი | 10 | 1 | 1 | 8 | 6:20 | 4 |

## სიმბოლური ნაკრები

მიხეილ ბოგოხიძე – ლოკომოტივი
გიორგი ჭელიძე – ბათუმი
სანდრო იაშვილი – თბილისი

რონ ონიანი – ლოკომოტივი
თენგიზ სიჭინავა – ლოკომოტივი
ალეკო გოგობერიშვილი – ლოკომოტივი
ლადო ახალაია – დინამო

დავით ბაქრაძე – ლოკომოტივი
ივანე მახარაძე – ბათუმი
დავით იმედაშვილი – ვიტ ჯორჯია

ზვიად სტურუა – ტორპედო

გუნდი: ლოკომოტივი

მწვრთნელი: ზაურ სვანაძე

საქართველოს პირველი ლიგა 16 ჩემპიონატი პირველი წრე 8 ტური

**ივერია 1:1 სპარტაკი**

**კახეთი 3:2 გურია**

**მერანი 4:3 რუსთავი**

**ბორჯომი 2:0 ვიტ ჯორჯია**

**ოლიმპი 2:0 მაღაროელი**

**ლოკომოტივი 2 1:1 დინამო 2**

დღეს

**ამერი — ჩიხურა**

**ცხინვალი — საგარეჯო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 8 | 7 | 0 | 1 | 22:9 | 21 |
| სპარტაკი | 8 | 5 | 3 | 0 | 13:5 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 1 | 2 | 16:5 | 16 |
| კახეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 16:15 | 15 |
| დინამო 2 | 8 | 4 | 1 | 3 | 16:14 | 13 |
| ამერი | 7 | 4 | 0 | 3 | 18:5 | 12 |
| მერანი | 7 | 4 | 0 | 3 | 13:13 | 12 |
| ივერია | 7 | 2 | 4 | 1 | 5:6 | 10 |
| ცხინვალი | 7 | 2 | 3 | 2 | 12:11 | 9 |
| ოლიმპი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:10 | 8 |
| ჩიხურა | 7 | 2 | 2 | 3 | 5:7 | 8 |
| გურია | 8 | 2 | 2 | 4 | 8:12 | 8 |
| რუსთავი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:14 | 7 |
| ლოკომოტივი 2 | 8 | 1 | 3 | 4 | 4:17 | 6 |
| საგარეჯო | 7 | 1 | 1 | 5 | 5:20 | 4 |
| მაღაროელი | 8 | 0 | 3 | 5 | 3:12 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. III ტური

## I ჯგუფი

### მაკედონია – ჰოლანდია



REUTERS

რუუდ ვან ნისტელროოის და ჰოლანდიელებს სკოპიეში მაგრად დახვდნენ...

## უკან ოთხი და წინ გაურკვევლობა

ჰოლანდიელებს არ ეყოლებათ არიენ რობენი, კევინ ჰოფლანდი და დეივ ვან დენ ბერგი. „ჩელსის" ვარსკვლავ რობენს ძალები არ აქვს საკმარისად აღდგენილი, გერმანული „ვოლფსბურგის" მცველ ჰოფლანდს კოჭის ტრავმა აქვს, ხოლო უტრეხტელი ვან დენ ბერგი ორთავა კუნთის ტკივილით გავიდა წინა შაბათს მოედნიდან.

ჰოლანდიელთა მწვრთნელმა, მარკო ვან ბასტენმა ჩეხებთან შეხვედრაში (სადაც თამაშით ორანიე მეტოქეს ჩამოუვარდებოდა, მაგრამ 2:0 კი მოიგო) 3-4-3 განლაგება ამჯობინა, მაგრამ მაკედონიასთან, როგორც ამბობენ, იგი უფრო ტრადიციული 4-3-3 სისტემას მიმართავს.

„ჩვენი საბაზისო სისტემა ოთხი მცველით თამაში იქნება — განაცხადა წარსულში ლეგენდარულმა ფეხბურთელმა — ეს ის სისტემაა, რომელსაც ჩემი ფეხბურთელები შეეჩვივნენ, ხოლო ის, რაც ჩეხებთან ჩავიდინეთ, სრული გამონაკლისი გახლდათ".

რაც შეეხება თავდასხმას, აქ ვან ბასტენს ვერ გადაუწყვეტია ვინ უნდა გაიყვანოს ძირითად ფორვარდად — „ბაიერნის" როი მაკაი თუ პიერ ვან ჰოიდონკი „ფენერბაჰჩედან".

„ვფიქრობ ეს გაურკვევლობა ფეხბურთელებისთვის ძალიან კარგია — დასძინა ვან ბასტენმა — ასე ისინი სულ ბოლო ვარჯიშამდე მობილიზებულნი იქნებიან და ძირითადში მოსახვედრად თავგადაკლულნი ივარჯიბენ. მაკაისველაპარაკე, ვუთხარი, რომ ნაკრებში სხვანაირად თამაშობს, თავის კლუბში სხვანაირად, მე კი მეტს ველი" — დასძინა ბოლოს ვან ბასტენმა.

**პაპუნა ძიძია**

**ჩეხეთი — რუმინეთი**
**ფინეთი — სომხეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 9 |
| ფინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| მაკედონია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| სომხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |
| ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |



REUTERS

– ედგარ დავიდსმა კი რატომღაც სახე დამალა

## IV ჯგუფი

## ახალი თავი და დიდი ირლანდიელები

### პრემიერლიგა სტად დე ფრანსზე



REUTERS

რაიმონ დომენეკი

საფრანგეთის ნაკრები „სტად დე ფრანსზე" ირლანდიისას მასპინძლობს და ძალიან უნდა ამ თამაშის შედეგით კრიტიკოსები დაადუმოს, მაგრამ პრობლემა ისევ ძველია: მარსელ დესაიმ, ზინედინ ზიდანმა, ლილიან ტურამმა და ბიქსენტ ლიზარაზუმ სანაკრებო ფეხბურთს თავი დაანებეს, არადა, დაახლოებით ექვსი თვის წინ ირლანდიის გუნდი „ლურჯებისთვის" არანაირად არ იქნებოდა გამოცდა.

პლუს, დღეს ფრანგებს პატრიკ ვიეირა არ ეყოლებათ. ვინ შეცვლის მას? ხალხი, ვინც მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა შეიძლება ვიეირას მაგივრად ათამაშოს, ჯერ ძალიან გამოუცდელია, ამიტომ კაცმა არ იცის, რა მოხდება. ვერავინ იწინასწარმეტყველებს დაზუსტებით ვერც შემადგენლობას და ვერც მოახლოებული შეხვედრის შედეგს.

ნახევარმცველი რობერ პირესი: „ირლანდიელთაგან დიდ გამოცდას ველით. მათ იციან, რომ „სტად დე ფრანსზე" დიდი სენსაციის მოწყობა შეუძლიათ და ეჭვი არ არის, ძალიან სერიოზულად იბრძოლებენ".

ირლანდიის ნაკრები მართალია ევრო 2004-ზე არ ყოფილა, მაგრამ ბოლო ათი შეხვედრიდან ცხრაში დაუმარცხებელია და ასეთი ღირსეული შედეგით გახლავთ პარიზში ჩასული:

პირესი განაგრძობს: „მათ ჰყავთ ისეთი დიდი ფეხბურთელები, როგორებიც არიან დემიენ დაფი და როი კინი. მერე, მთელი მათი გუნდი ინგლისის პრემიერლიგის ფეხბურთელებისგან შედგება და ამიტომ უკიდურესი მობილიზაცია გვმართებს. ერთადერთი, რაც მახარებს ისაა, რომ ჩვენ ვიცით, რას შეიძლება ველოდოთ მათგან".

ცნობისთვის: რაც დომენეკი „ლურჯებს" სათავეში ჩაუდგა, გუნდს ერთხელაც არ წაუგია, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ არც დამაჯერებლად ჩაუტარებია რომელიმე თამაში. ფრანგებმა შინ ფრედ ითამაშეს ბოსნიასა და ისრაელთან, ხოლო სტუმრად, ფარერის კუნძულელთა ნაკრების დასამარცხებლად დიდი ჯაფა დასჭირდათ. მატჩი დასრულდა „ლურჯების" გამარჯვებით 2:0, ოღონდ ის შეხვედრა დომენეკის შეგირდებმა 10 კაცით ჩაამთავრეს, რადგან მსაჯმა მეორე ყვითელი ბარათის ძალით მოედნიდან კაპიტანი ვიეირა გააძევა.

სხვათაშორის, ზემოხსენებულ პირესსა და დომენეკს ერთმანეთში დიდი კამათი ჰქონდათ, რაც იმით გახლდათ განპირობებული, რომ მწვრთნელმა ვარსკვლავი ორჯერ დასვა სათადარიგოთა სკამზე.

მცველი უილიამ გალასი: „აუცილებლად უნდა მოვიგოთ ეს ორი შეხვედრა და ჯგუფში პირველ ადგილზე გადავიდეთ".

ვიეირას გარდა, „ლურჯების" გუნდში არ იქნებიან ტრავმირებულები — დავიდ ტრეზეგე, ლუდოვიკ ჟიული და ბენუა პედრეტი.

სამაგიეროდ, სამთვიანი არყოფნის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა სილვენ ვილტორდი, რომელიც ამბობს:

„ჩვენ გამარჯვებას ვაპირებთ. შეხედეთ ჩვენს მოთამაშეებს და მიხვდებით, რომ სანერვიულო არაფერი გვაქვს. ჩვენ ექვსი ქულის მოპოვებას და ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში ახალი თავის დაწერას ვაპირებთ".

**პაპუნა ძიძია**

### საფრანგეთი – ირლანდია

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| ბარტეზი, გალასი, გივე, სკილაჩი, სილვესტრი, დაკური, მავუბა, პირესი, ვილტორდი, ანრი, ჯ. სისე | გივენი, კარი, კანინგემი, ობრაიენი, ოში, რიდი, კილბეინი, როი კინი, დაფი, რობი კინი, მორისონი |

მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

**ისრაელი — შვეიცარია**
**კვიპროსი — ფარერები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 0 | 7:1 | 4 |
| ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ისრაელი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| კვიპროსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| ფარერები | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | 0 |



REUTERS

ორი წლის წინ ფრანგები ირლანდიელებს თავად გამოცდიდნენ

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. III ტური

## V ჯგუფი

### სლოვენია – იტალია

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| ბ. მავრიჩი, კარიჩი, მ. მავრიჩი, მიტრაკოვიჩი, შილიაკი, ნ. ჩეჰი, კომაცი, პოკორნი, შეშლარი, აჩიმოვიჩი, დედიჩი | ბუფონი, ბონერა, ნესტა, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, გატუზო, დე როსი, ესპოზიტო, ტოტი, ტონი |

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

# ნერვიული ესპოზიტო

## კნავსის გარეშე ნავსია?



მაურო ესპოზიტო სანაკრებო დებიუტის მოლოდინშია

**„კალიარის“** ნახევარმცველი მაურო ესპოზიტო დებიუტისთვის ემზადება. 25 წლის ფეხბურთელი პირველად მოხვდა ნაკრების ბანაკში და, როგორც ამბობენ, მარჩელო ლიპი ძირითად შემადგენლობაში უპირებს დაყენებას.

„თუ მათამაშებს, მზად ვიქნები — უთხრა დებიუტანტმა ჟურნალისტებს — ვიცი, რომ ეს შანსია, რომლის ხელიდან გაშვებაც არ შეიძლება, თუმცა, ვფიქრობ, ამ გუნდში არიან მოთამაშეები, რომელთაც ჩემზე უწინ ეკუთვნით ძირითადში თამაში“.

ფეხბურთელები, რომელთა კონკურენციაც უწევს ესპოზიტოს, არიან მარკო დი ვაიო და სტეფანო ფიორე.

„გრძელ დისტანციას ფიორეზე ჩქარა გავრბივარ, დი ვაიო კი ამაზე მეტად დამხმარე თავდამსხმელის ამპლუის კაცია — დასძინა მოთამაშემ — ყოველ შემთხვევაში თუ მათამაშებენ, შიში ნამდვილად არაფრისა მექნება. ხოლო ის, რომ გასულ კვირაში ალელვება შემატყვეს, იმის ბრალია, რომ უცბად ბევრი ცნობილი ვარსკვლავის გარემოცვაში მოვხვდი“.

თავდასხმაში პალერმოელ ლუკა ტონის ვიხილავთ, ხოლო მის უკან თავისუფლად იმოქმედებს ფრანჩესკო ტოტი. ზემოხსენებული, მღელვარე ესპოზიტოს გადაღმა, მარჯვენა ნახევარმცველად, ალბათ, მაურო კამორანეზის ვნახავთ, ხოლო ამ ორი ადამიანის შუაში მილანელი ჯენარო გატუზო ხომ იქნება და იქნება და მასთან წყვილში რომაელ ახალგაზრდას, ნორვეგიელებთან შეხვედრაში (მისთვის დებიუტი რომ იყო) გოლის ავტორ დანიელე დე როსის ვიხილავთ.

სლოვენიელებს კი ალექსანდრ კნავსის გარეშე მოუწევთ თამაში. ამ მთავარ მცველს მუხლი სტკივა.

„ჩემი პრობლემა ის გახლავთ, რომ უწინდელი გეგმის მიხედვით ვერ ვიმოქმედებ და კნავსის ნაცვლად ახალგაზრდებს ვერ გავუშვებ მოედანზე, რადგან ისინი გამოუცდელები არიან, ხოლო ჩვენთვის ყოველ ქულას დიდი მნიშვნელობა აქვს — განაცხადა სლოვენიელთა მწვრთნელმა ბრინე ობლაკმა — საერთოდაც, ვატყობ, რომ რა გუნდითაც დავიწყე შესარჩევი



მარჩელო ლიპის იტალია სრულ მზადყოფნაშია

ციკლი, იმ გუნდით მომიწევს დასრულებაც. აუცილებლად დაგვჭირდება ხალხის დახმარება და იღბალიც. ხომ საყოველთაოდ ცნობილია, ტრიბუნების მხარდაჭერა ფეხბურთელებს უკეთ თამაშისკენ უბიძგებს“.

სლოვენიელებმა მიმდინარე შეჯიბრებაში ჯერ მოლდოვას მოუგეს 3:0 და შემდეგ „ჰემპდენ პარკზე“ შოტლანდიელებთან ითამაშეს 0:0.

**პაპუნა ძედია**

**ბელარუსი — მოლდოვა**
**შოტლანდია — ნორვეგია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| სლოვენია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ნორვეგია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## VI ჯგუფი

# ულამაზო ამბავი

## იბრძოლე 300 გირვანქისთვის

### ინგლისი – უელსი

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| რობინსონი, გ. ნევილი, ფერდინანდი, კემპბელი, ე. კოული, ბექემი, ბათი, ლამპარდი, ოუენი, რუნი, დეფო | ჯოუნსი, დილანი, კოლინზი, გაბიდონი, ტეტჩერი, ს. დევისი, სპიდი, კუმასი, გიგზი, ჰართსონი, ბელამი |

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)



სვენ გორან ერიკსონს უეინ რუნის ძალიან ეიმედება

**ინგლისის** ნაკრების მწვრთნელი, სვენ გორან ერიკსონი კარგ ხასიათზეა, ჟურნალისტებს უცხადებს, რომ მისი გუნდი სრულიად ჯანსაღი და მზად მყოფი ეგებება ბრიტანულ მატჩს „ოლდ ტრეფორდზე“, უელსელთა წინააღმდეგ. გუშინ მთელმა გუნდმა ივარჯიშა ამ სტადიონზე: მათ შორის, ორმა თითქოს ტრავმიანმა, მაიკლ ოუენმა და მეკარე დევიდ ჯეიმსმა.

შვედ მწვრთნელს გეგმად ჰქონია უელსის სრულიად დაშამათება და ამიტომაც, თურმე სამი თავდამსხმელის გამოყვანას აპირებს: ოუენსა და უეინ რუნსი ჯერმენ დეფოც შეუერთდება.

დაცვის ცენტრს რიო ფერდინანდი და სოლ კემპბელი გაამაგრებენ, ხოლო ნახევარდაცვაში ერიკსონი თავის ასე თუ ისე განთქმულ „ბრილიანტის“ სქემას გამოიყენებს. სწორედ ამგვარად (სამი ფორვარდით და ბრილიანტით, უფრო კი, ბანქოს აგურის სქემა უნდა ვუწოდოთ) უვარჯიშებია ერიკსონს ნაკრების ძირითადი შემადგენლობა ოთხშაბათს. თუმცა მწვრთნელს ჯერაც გადასაწყვეტი აქვს, ვინ დაიჭერს შუა მოედანში ფეხმოტეხილი სტივენ ჯერარდის ადგილს. ეს სამარჩიელოა, თუმცალა, შვედს შეუძლია ამ პრობლემების მოგვარება.

საერთოდ კი „ოლდ ტრეფორდზე“ რამდენიმე მანჩესტერული ნაპერწკლიანი ამბავი იგეგმება. ერთი, რომ ამ სტადიონის ახალი გმირი, უეინ რუნი სწორედ აქ უბრუნდება ნაკრებს, მეორე რომ რიო ფერდინანდი რვათვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ სწორედ აქ უბრუნდება ნაკრებს და მესამეც, რომ „რეალში“ გადაბარგებული დევიდ ბექემი თავის გამზრდელ ალაგზე გაირბენს. მას კი, თურმე გაუსაძლისი ნოსტალგია სჭირს ამ სტადიონისა და ძველი მეგობრებისა.

და, რა თქმა უნდა, არ დაგვავიწყდეს მთავარ დღევანდელი ინტრიგა: თავის ფრთაზე იქნება რაიან გიგზი, ქალაქ მანჩესტერის უპირობო სიყვარული. ოღონდაც, ამჯერად სულ სხვა სამოსში, მთელი მანჩესტერის და ინგლისის წინაალმდეგ.

გიგზი უელსელთა ლიდერია. მისგან ძალიან ბევრს ელიან. ასე ნაცნობი და ახლობელი მინდორი გიგზს არა აქვს, კარიერაში მას მხოლოდ „მანჩესტერში“ უთამაშია. თუმცა, მინდორი მინდვრად და უელსის ნაკრები ვერ არის ისე მზადმყოფი, როგორც ინგლისისა. უელსელებს ხალხი აკლიათ.

მაგალითად, ყველაზე თავცხელა და ბობოქარი ნახევარმცველი, ნამდვილი „მაირტალ კომბატის“ გმირი რობი სევიჯი, რომელმაც წინა შესარჩევ მატჩში წითელი ბარათი მიიღო და ახლა მხოლოდ ტრიბუნაზე იქნება. ინგლისელთა ტანჯვა კი გიგზსა და უსწრაფესს, ნიუკასლელ კრეიგ ბელამის განუზრახავთ.

თუმცა, თავდასხმა თავდასხმად, უელსელებს კი ტრავმირებულები მოუგროვდათ. თანაც, გუნდი მთლად კარგ ხასიათზე ვერაა. უელსი მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ყოფილა 1958 წლის შემდეგ და ახლა, როცა კარგი გუნდი ჰყავს, მხოლოდ კარგი შედეგისთვის იბრძოლებს. თუმცა შესარჩევი ციკლი არცთუ იღბლიანად დაიწყო, უელსის ნაკრებს სწყინს, რომ თავის ისტორიაში ყველაზე ხმაურიანი თამაშისთვის თითოეული ფეხბურთელი მხოლოდ 300 გირვანქას მიიღებს, მაშინ, როცა ინგლისელებს, ამ მატჩისთვის 1700-1700 გირვანქას ჩაუთვლიან, თუ, რა თქმა უნდა მოიგებენ.

უელსელთა კაპიტანი გარი სპიდი უკვე შეხვდა ფედერაციის კაცებს და უთხრა, ეს ულამაზო ამბავიაო, რატომ? რატომ და იმიტომ, რომ ახლა უელსი ყველაზე ბევრმაყურებლიანი გუნდია ევროპაში. ჩრდილოეთ ირლანდიასთან მის თამაშს 63 500 ქომაგი დაესწრო, ეს კი ევროპაში საუკეთესო შედეგია წინა შესარჩევ ტურში. უელსის ფეხბურთის ასოციაციამ კარგი ფული იშოვა და ახალი სარფიანი კონტრაქტებიც დადო.

ახლა ამბობენ, რომ თუ უელსი „ოლდ ტრეფორდზე“ ინგლისს დასცემს, მილიონ გირვანქა პრემიას მიიღებს გუნდურად.

თუმცა, ეს ფული მაინც არ არის მთავარი: უელსი იბრძოლებს, როგორც შლეგიანი. უკანასკნელად ეს გუნდები შეხვდნენ 1984 წელს, მაშინ არსებულ ბრიტანეთის ჩემპიონატზე, უელსურ ქალაქ რექსემში და უელსელთა ახლანდელი მენეჯერი, მარკ ჰიუზი მოედანზე იყო.

**ირაკლი გამყრელიძე**

**აზერბაიჯანი — ჩრდ. ირლანდია**
**ავსტრია — პოლონეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ინგლისი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| უელსი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| აზერბაიჯანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |



ინგლისის ნაკრების დაცვას კვლავაც რიო ფერდინანდი და სოლ კემპბელი გაამაგრებენ

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. III ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესპანეთი — ბელგია

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| კასილიასი, სალგადო, პუიოლი, მარჩენა, დელ ორნო, ხოაკინი, ხავი, ალბელდა, რეიესი, რაული, ფ. ტორესი | პეერსმანი, დეფლანდრე, კომპანი, ვან ბუიტენი, დეშახტი, ბუფელი, ბისკონტი, კლემანი, გოორი, სონკი, მ. მპენზა |

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

## ფერნანდო მორიენტესი ესპანეთმაც დაიწუნა

### მე ის ლუისი არ ვარ



მორიენტესს ნაკრების მაისურა არ ჩააცვეს

**ესპანეთის** ნაკრები სანტანდერულ „ელ სარდინიეროზე“ ბელგიის ეროვნულ გუნდს მასპინძლობს.

აქამდე, პირინეელთა მხცოვანი მწვრთნელი, ლუის არაგონესი, გუნდის სასტარტო შემადგენლობას წინასწარ, ტრადიციულად არ ასახელებდა, მაგრამ ახლა, ფლანდრიელებთან ჯახისთვის რატომღაც ძირითადი თერთმეტეული გაამხილა — კარში იკერ კასილიასი ჩადგება, დაცვას მიჩელ სალგადო, კარლეს პუიოლი, კარლოს მარჩენა და ასიერ დელ ორნო მიხედავენ. ფლანგებზე, შესაბამისად მარჯვნივ-მარცხნივ, ბეტისელი ხოაკინი და ხოსე ანტონიო რეიესი ირბენენ, დავიდ ალბელდა და ხავი საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციას შეითავსებენ, თავდასხმაში და მეტოქის კარის დასალაშქრად კი რაული და ფერნანდო ტორესი გაირჯებიან.

არაგონესის სიურპრიზიც ესაა, რაულისა და ტორესის ერთად შეწყვილება. „თქვენ იცით, რომ წინასწარ შემადგენლობას არ ვამხელხოლმე, თუმცა თავდამსხმაში რაული და „ელ ნინიო“ აუცილებლად ერთად ითამაშებენ“ — აღნიშნა დამრიგებელმა ესპანურ სპორტულ მედიასთან საუბრისას. მწვრთნელის მოსაზრებით, დღევანდელი ესპანური ფეხბურთის ყველაზე გამორჩეული მოიერიშეები სწორედ „რეალისა“ და „ატლეტიკოს“ ფორვარდები არიან. ამიტომაც უხმობს მათ ძირითადში უყოყმანოდ.

გუშინაც ვწერდით და ახლახან, ფრანგი ტიერი ანრისადმი გამონათქვამების გამო რასისტად მონათლულმა არაგონესმა ცვლილებები ნაკრების ნახევარდაცვაშიც შეიტანა — დეპორტივოელი ვალერონის ნაცვლად, ზემოთაც ვთქვით, ბარსელონელი ხავი ერნანდესი გამწესდება. „ხავი „ბარსაში“ შესანიშნავია. ამიტომაც, მტკიცედ გადავწყვიტე, ბელგიელებთან სწორედ კატალონიელი ითამაშებს“ — დასძენს მწვრთნელი.

სენიორ ლუისს ორი შლეგიანი მეომარი არ ეყოლება — „ბეტისის“ ხუანიტომ ვარჯიშისას მძიმე ტრავმა მიიღო, მადრიდის „რეალის“ სათადარიგო ფერნანდო მორიენტესი კი თვითონ დაიწუნა. „ვფიქრობ, უფრო მართებულია, თუ ნაკრების ძირითადში ის ფეხბურთელები ითამაშებენ, რომელთაც საკუთარ კლუბებში პრაქტიკა არ აკლიათ. მორიენტესიც ამად არ მივიწვიე“ — ამბობს არაგონესი.

რაც შეეხებათ ბელგიელებს, ისინი ტრავმირებულ მცველ იოს ვალგაერენს მოისაკლისებენ, რომელსაც სავარაუდოდ, „საუთჰემპტონის“ ჟილ ვან დამი შეცვლის. არ ითამაშებენ აგრეთვე დაშავებული დიდიე დეედენი და ტიმი სიმონსი. სტუმართა თავკაცი ემე ანტუნესი ვერც ძველჩაუქ ემილ მპენზას დაეყრდნობა, რომელმაც სულ ახლახან მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ ნაკრებს გამოეთხოვა.

ბელგიური პრესა ანტუნესს სასტიკად აკრიტიკებს იმის გამო, რომ ნაკრებში კვლავაც არ მიიწვია „ანდერლეხტის“ ვალტერ ბასეჯიო, „შალკეს“ სვენ ვერმანტი, „ესპანიოლის“ ერვინ ლემენსი, „ოსერის“ ლუიჯი პიერონი და „აიაქსის“ ტომი სოტერსი.

მიუხედავად ყველაფრისა, ბელგიელთა თავკაცი ამბობს, ესპანეთში წასაგებად არ ჩავსულვართო.

**ლადო ხომერიკი**



REUTERS სანტანდერიდან

ემე ანტუნესს ბელგია სანტანდერში სასეირნოდ არ ჩაუყვანია

## VII ჯგუფი

# მახსოვს ოდესღაც...

## უსაფრთხოების ზომები დაცულია, ერიდეთ ბილიარდის ბურთებს

## ბოსნია — სერბეთი

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ტოლჯა, სპაჰიჩი, ბაჯიჩი, პაპაჩი, ჰრგოვიჩი, ბესლია, ბარბარესი, გრუიჩი, ბალიჩი, მისიმოვიჩი, ბოლიჩი | ჟევრიჩი, გავრანჩიჩი, კრსტაიჩი, ვიტაკიჩი, ჩირკოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, დ. სტანკოვიჩი, კორომანი, ვუკიჩი, მილოშევიჩი, ლიუბოია |

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

**ბოსნია** სერბიის წინააღმდეგ — ეს მატჩი, ბუნებრივია, საგანგებო ყურადღების ქვეშაა და უსაფრთხოების ზომებიც განსაკუთრებულადაა დაცული. მასპინძლებს ოთხი თამაშია არ წაუგიათ და ვინ იცის, იქნებ, არათუ ამ გეზის შენარჩუნება, არამედ სერბებზე ისტორიულ გამარჯვებასაც გეგმავენ. სხვა საქმეა, რომ მწვრთნელს, ბლაჟ სლიშკოვიჩს ოთხი წამყვანი ფეხბურთელი არ ჰყავს. ესენია: მეკარე კენან ჰასაგიჩი, მარცხენა მცველი ვედინ მუსიჩი, ცენტრალური მცველი მუჰამედ კონჯიჩი და ბაიერნელი ჰასან სალიჰამიჯიჩი, რომლის არყოფნაც კარგა ხანია ცნობილი იყო. სამაგიეროდ, არის კარგი ამბებიც — დაბადებით გერმანელი ნახევარმცველი ივიცა გრლიჩი ზუსტად თამაშის წინ ბოსნიის მოქალაქეობას მიიღებს.

სლიშკოვიჩმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „თუ კარგად თამაშს შევძლებთ, რატომ უნდა ჩავთვალოთ ფრე ცუდ შედეგად? თუმცა, იმასაც გულწრფელად გეტყვით, რომ სამი ქულის იმედიც მაქვს“.

ცხადია, სამი ქულა უნდა სერბეთ-ჩერნოგორიის ნაკრების თავკაცს ილია პეტკოვიჩსაც, თუმცა ტრავმების გარეშე არც მისი გუნდია დარჩენილი: ნენად იესტროვიჩი, დრაგან მლადენოვიჩი, მატეა კეჟმანი და მწვრთნელის ვაჟი დუშან პეტკოვიჩი — აი, დაშავებულ ყოფილ იუგოსლაველთა სია. გუნდშია ცენტრალური მცველი ნემანია ვიდიჩი, მაგრამ ძალიან საეჭვოა კოჭის ტრავმას სძლიოს და დღეს თამაში შეძლოს.

„მახსოვს, ოდესღაც აქ, ძალიან იოლად მოვიგეთ 2:0, მაგრამ მას მერე ბოსნიელებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს თამაში“ — ამბობს „ინტერის“ ვარსკვლავი დეიან სტანკოვიჩი.

ცნობისთვის: 2002 წელს ამავე სტადიონზე ბოსნიელი და სერბი ფანების შეტაკებისას 25 ადამიანი დაშავდა, ხოლო ამ შეტაკებას რომ მხოლოდ სპორტული ფესვები არ აქვს, საყოველთაოდ ცნობილია. მოგეხსენებათ, 1992-95 წლებში ბალკანეთის ერები დიდ ომში იყვნენ ჩაბმულნი.

დღეს სარაევოში წესრიგს 1 300 ძალოვანი და სპეცრაზმელი დაიცავს. გეგმის თანახმად, უსაფრთხოების ჯაჭვი ასობით მეტრს მოიცავს და ყველაფერი დაგეგმილია საიმისოდ, რომ მეტოქე ქომაგები ერთმანეთს ვერ მისწვდნენ.

აღსანიშნავია, რომ სერბეთ-ჩერნიგორიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა გულშემატკივართათვის ამ შეხვედრის ბილეთები არ შეეკვეთა, მაგრამ ვარაუდობენ, როგორც სერბეთის სერბები, ასევე ბოსნიელი სერბები მაინც დაიძვრებიან სარაევოსკენ და სტადიონზე შევლენ.

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ მასპინძლობენ ბოსნიელები შეხვედრას სარაევოში — საქმე ის გახლავთ, რომ ფიფამ ქალაქ ზენიცას სტადიონს დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. მიზეზი? იქ, ტრიბუნიდან, ესპანელ ფეხბურთელს ბილიარდის ბურთი გაარტყეს.

### პაპუნა ძიძია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| სერბეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ბელგია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბოსნია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |




ჰასან სალიჰამიჯიჩი ბოსნიელებს სერბებთან დღეს ვერ დაეხმარება

## მიჩელ სალგადო:

# არაგონესია რასისტი? ხომ არ გაგიჟებულხართ!

*ხოსე, იმ შენს ზანგს უთხარი, რომ მასზე ასი თავით უკეთესი ხარ! მიმიფურთხებია იმ შავკანიანისთვის, სრული უფლება გაქვს, პირდაპირ განუცხადო — მე შენზე კარგად ვთამაშობ! — ეს, თუ რაღაც ამდაგვარი შესძახა გასამხნევებლად ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ლუის არაგონესმა თავის შეგირდს ხოსე ანტონიო რეიესს ბელგიელებთან მატჩისწინა ვარჯიშზე და იქ მყოფი ჟურნალისტების წყალობით ვინძლო მისი ღრიალი შავკანიანმა ანუ ფრანგმა ტიერი ანრიმ უფრო მალე გაიგო, ვიდრე „არსენალის" ესპანელმა გარემარბმა.*

*არაგონესიც მაშინვე რასისტად შერაცხეს, მაგრამ მის შეგირდებს დამრიგებლის რასიზმი სასაცილოდ არ ჰყოფნით.*

*მოკლედ, მადრიდული „ასი" მიჩელ სალგადოს ესაუბრა....*



— ლუის არაგონესის სიტყვებმა ტიერი ანრის მისმართით საფრანგეთსა და ინგლისში დიდი გამოხმაურება ჰპოვა...

— რა გითხრათ, მწვრთნელსა და რეიესს შორის უბრალო ხუმრობა რატომღაც მსოფლიო დონის სკანდალად იქცა და ამან შესაძლოა, ესპანეთის ნაკრების რეპუტაცია ეჭვქვეშ დააყენოს. ინგლისელები და ფრანგები ლუისს არ იცნობენ, მისი ფეხბურთელებთან განსაკუთრებული ურთიერთობების შესახებ არაფერი იციან და ამიტომაც ვერ მიხვდნენ, რეიესს რატომ შეუძახა ასე. ცუდია, რომ მათ ეს ყველაფერი სერიოზულად მიიღეს.

— ანუ მწვრთნელს შავკანიანთა მიმართ ზიზღი ტყუილად ბრალდება?

— ლუისის რასისტად მონათვლა სიგიჟეა და მეტი არაფერი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კამერუნელი სამუელ ეტოო არაგონესს მოფერებით ხან მამას და ხან ბაბუას ეძახის... ნებისმიერ როყიო სიტყვაზე გამოკიდება არ შეიძლება. აბა, დაფიქრდით, ჩვენ, ესპანეთში ხანდახან ამაზე უხეშადაც ვხუმრობთ-ხოლმე. ესე იგი, უკვე კარგა ხანია, ერთმანეთი ქვებით უნდა ჩაგვექოლა.

— თქვენი აზრით, მედიამ მწვრთნელის სიტყვები არასწორ კონტექსტში გაავრცელა და გაუგებრობაც ამან გამოიწვია?

— ბრალი სწორედ მედიას მიუძღვის. ნაკრები ჟურნალისტთა თანდასწრებით ვარჯიშობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, გაზეთებმა თუ ტელევიზიამ შიდა საგუნდო ამბავი საქვეყნოდ გამოფინოს, თანაც არასწორი ინტერპრეტაციით. მაგალითად, ერთხელ მე და ხოაკინმა ვარჯიშისას რომ ერთმანეთს მაგარ-მაგრები ვუთხარით, ესე იგი მაშინ მოჩხუბრებად უნდა გამოგვაცხადონ?

— გამოდის, რომ როცა ვარჯიშს უამრავი ჟურნალისტი ესწრება, ვიდეოკამერებისა და მიკროფონების წინ ნათქვამი ყოველი ფრაზა სახიფათოა?

— ალბათ. თუ ასე გააგრძელეთ, მაშინ სანაკრებო შეკრების მოწყობა პრესისა და ტელევიზიის გარეშე მოგვიწევს. ყველამ იცის, მე მედიასთან ურთიერთობის მნიშვნელობა მშვენივრად მესმის და ამის აკრძალვას არ მოვითხოვ, მაგრამ თავად განსაჯეთ — გერმანიის მუნდიალის შესარჩევი ორი რთული მატჩი გველოდება, ატეხილი სკანდალის გამო კი ფეხბურთზე არავინ საუბრობს.

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. III ტური

### III ჯგუფი

ლიხტენშტაინი — პორტუგალია
სლოვაკეთი — ლატვია
ლუქსემბურგი — რუსეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 11:2 | 7 |
| პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ესტონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ლატვია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| რუსეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:11 | 0 |
| ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:9 | 0 |

### VIII ჯგუფი

ხორვატია — ბულგარეთი
მალტა — ისლანდია
შვედეთი — უნგრეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| შვედეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:1 | 3 |
| ბულგარეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| ისლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:7 | 0 |

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

### IX ტური



კარლოს ტევესს და ხუან რიკელმეს პეკერმანის ნაკრები მოსწონთ

### არგენტინა — ურუგვაი

**სავარაუდო შემადგენლობები**

აბონდანსიერი, ძანეტი, კოლოჩინი, სამუელი, ჰაინცე, კამბიასო, რიკელმე, კილი გონსალესი, სორინი, კრესპო, სავიოლა

ვიერა, ბიზერა, ლემბო, როდრიგესი, დიოგო, დ. პერესი, სოსა, კ. როდრიგესი, ხ. დელგადო, დარიო სილვა, ჩევანტონი

მსაჯი: უილსონ დე სოუზა (ბრაზილია)

### ვენესუელა — ბრაზილია

**სავარაუდო შემადგენლობები**

ანგელუჩი, ვალენილია, რეი, ჩიკერო, ხონაი ერნანდესი, ვერა, ლ. ხიმენესი, პაესი, ურდანეტა, არანგო, მარჯოტა

დიდა, კაფუ, ჟუანი, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი, რენატო, ჟუნინიო პერნამბუკანო, ზე რობერტო, კაკა, რონალდო, რონალდინიო

მსაჯი: კარლოს კანდია (ჩილე)

# ადრიანოსთვის ძირითადი ადრიანია

## პეკერმანი ბიელსაზე არგენტინელია

**დღეს** და ხვალ სამხრეთ ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მორიგი ტურის მატჩებია და თუ ევროპელები ახლა ხურდებიან, იქ საცაა შეჯიბრის ეკვატორს გადაკვეთენ.

რომელი მატჩით დავიწყოთ... აი, თუნდაც ვენესუელაში ბრაზილიელთა სტუმრობით. აქ მთავარი ამბავი ის არის, რომ ბრაზილიელებს რონალდო ეყოლებათ, ვისი თამაშიც სათუოა.

რონალდო მშობლიურ კონტინენტზე ორშაბათს ჩაფრინდა, ოღონდ ის იყო, რომ მადრიდიდან ორივე ფეხის კუნთების ტკივილი ჩაიყოლა. საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ გამოდგა და კარლოს ალბერტო პარეირამ ხუთშაბათის ვარჯიშზე ორმხრივი თამაში რომ გააჩაღა, რონალდო მოედანზე იყო. ვარჯიშის მერე კი ვარსკვლავმა თქვა: „ვფიქრობ, ტრავმა საბოლოოდ მოვიშუშე. ტკივილს საერთოდ აღარ ვგრძნობ და თამაში უპრობლემოდ შემიძლია."

წინა დღით რონალდოს უთქვამს, ასი პროცენტით თუ არ მოვმჯობინდი, არ ვითამაშებო, ასე რომ, ეტყობა, მართლა მომჯობინებულა.

რონალდოს მომჯობინება კი იმას ნიშნავს, რომ თავდასხმაში ბრაზილიას ის და რონალდინიო ეყოლება, ხოლო „ინტერის" ფორვარდი ადრიანო, ვინაც ბოლო კოპა ამერიკაზე შვიდი გოლით ბომბარდირი გახდა, სკამზე დაჯდება.

თავდამსხმელებს უკნიდან მილანელი კაკა დაეხმარება, რომლის გარდა ნახევარდაცვაში ზე რობერტო, რენატო და ჟუნინიო პერნამბუკანო ითამაშებენ.

მცველებზეც ვთქვათ. პარეირამ დაადასტურა, დაცვის შუაგულში ლევერკუზენელებს, როკე ჟუნიორსა და ჟუანს ვათამაშებო. ჟუანი სასტარტო შემადგენლობაში ლუსიოს ტრავმის გამო მოხვდა.

„მე ლუსიო უფრო მომწონს — განმარტა პარეირამ — მაგრამ მას დიდი ხანია არ უთამაშია, ჟუანი კი ამ ბოლო დროს ბრწყინვალე ფორმაშია".

ბრაზილიაზე თხრობა კი იმ ფაქტის აღნიშვნით დავასრულოთ, რომ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები ჯგუფის ლიდერები არიან, მათი მეტოქე კი მეექვსე ადგილზეა, რაც ვენესუელელთა კლასის კვალობაზე ურიგო შედეგი არ არის.

სადაც ბრაზილიისას ვიტყვით, იქ არგენტინაც აუცილებლად უნდა ვახსენოთ. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები ამ ტურში ასევე ორგზის ჩემპიონ ურუგვაის ნაკრებს მასპინძლობენ.

ამ მატჩში არგენტინელებს პირველად გაუძღვება ახალი მწვრთნელი ხოსე პეკერმანი, ვისი დანიშვნითაც, მოგეხსენებათ, მარსელო ბიელსას ექვსწლიანი ხანა დასრულდა.

რა შეიცვალა ნაკრებში, ამის გაგებას თვალნათლივ დღეს შევძლებთ, იქამდე კი არგენტინელ ფეხბურთელთა კომენტარებს უნდა დავჯერდეთ. ასე მაგალითად, „ბოკა ხუნიორსის" ფორვარდი კარლოს ტევესი, რომელიც ახალი თაობის ვარსკვლავად ითვლება, ამბობს: „პეკერმანის სტილი უფრო არგენტინულია, ვიდრე ევროპული. ის მოედანზე მეტ თავისუფლებას გვანიჭებს."

გეხსომებათ, ბიელსას კრიტიკოსების უმთავრესი არგუმენტი სწორედ ის იყო, ბიელსა არგენტინულ სტილს ღალატობსო. აქვე ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ პეკერმანი რვა წელი ედგა სათავეში ქვეყნის ჭაბუკთა გუნდს და სამჯერ გახადა კიდეც მსოფლიოს ჩემპიონი.

პეკერმანის დანიშვნით არც ხუან რომან რიკელმეა უკმაყოფილო: „პეკერმანი ეროვნულ გუნდშიც იმასვე აკეთებს, რასაც ჭაბუკთა ნაკრებში — ცდილობს, რომ ფეხბურთელებმა თამაშით სიამოვნება მივიღოთ და ამავე დროს შედეგიც ვაჩვენოთ."

ხავიერ სავიოლა კი ამბობს: „ბიელსასგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, პეკერმანმა კი თავისუფლება მომანიჭა და მკაცრი სქემებით არ მზღუდავს."

ერთი სიტყვით, ხოსე პეკერმანის დანიშვნით ყველა კმაყოფილია.

**ირაკლი ნინიძე**

ბოლივია — პერუ
კოლუმბია — პარაგვაი
ეკვადორი — ჩილე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 8 | 4 | 4 | 0 | 14:8 | 16 |
| არგენტინა | 8 | 4 | 3 | 1 | 14:7 | 15 |
| პარაგვაი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:8 | 14 |
| ჩილე | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 12 |
| ეკვადორი | 8 | 3 | 1 | 4 | 8:8 | 10 |
| ვენესუელა | 8 | 3 | 1 | 4 | 6:8 | 10 |
| ურუგვაი | 8 | 3 | 1 | 4 | 13:19 | 10 |
| პერუ | 8 | 2 | 3 | 3 | 10:10 | 9 |
| კოლუმბია | 8 | 2 | 2 | 4 | 10:10 | 8 |
| ბოლივია | 8 | 2 | 0 | 6 | 10:19 | 6 |



ბრაზილია ვენესუელას რონალდო-რონალდინიოთი შეუტევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. I ლიგა

**9 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 102 | ბარნსლი-ბრენტფორდი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 16.00 | 103 | ტორკი-ჰადერსფილდი | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| 16.00 | 104 | უოლსოლი-კოლჩესტერი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |

**10 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.15 | 108 | ჰალი-ჩესტერფილდი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 17.00 | 109 | ოლდემი-ბლეკპული | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 17.00 | 110 | სუინდონი-უენსდი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |

### ინგლისი. II ლიგა

**9 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 118 | კემბრიჯი-როვერსი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 16.00 | 119 | ლეიტონი-ბერი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 16.00 | 120 | ლინკოლნი-კიდერმინსტერი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |

**10 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 121 | მაკლსფილდი-ნოტსი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 18.00 | 122 | ოქსფორდი-დარლინგტონი | 1,8 | 3,2 | 2,8 | 1,15 | 1,09 | 1,49 |

### ინგლისი. კონფერენსი

**9 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 134 | ქროული-ნორთვიჩი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 16.00 | 135 | ექსეტერი-კარლაილი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 16.00 | 136 | ფარნბორო-იორკი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 16.00 | 137 | ბარნეტი-დაგ ენდ რედი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 16.00 | 138 | მორიკომბი-ტემუორთი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 16.00 | 139 | სკარბორო-ალდერშოტი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 18.00 | 140 | ბარტონი-გრეივსენდი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 18.00 | 141 | კონვი-ფორესტ გრინი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 18.00 | 142 | ლეი-სტივენეიჯი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |

**11 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.45 | 143 | აკრინგტონი-ჰერეფორდი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი)

**9 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 146 | ლიუბეკი-ზტ.პაული | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 16.00 | 147 | დორტმუნდი(მ)-პადერბორნი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| 16.00 | 148 | ვერდერი(მ)-ოსნაბრიუკი | 2,15 | 3,3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| 16.00 | 149 | ქემნიცი-ჰამბურგი(მ) | 3,0 | 3,2 | 2,15 | 1,54 | 1,25 | 1,28 |
| 16.00 | 150 | ურდინგენი-ჰერტა(მ) | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 16.00 | 151 | ვოლფსბურგი(მ)-ვუპერტალი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 16.00 | 152 | მიუნსტერი-კიოლნი(მ) | 2,2 | 3,3 | 2,8 | 1,32 | 1,23 | 1,51 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი)

**9 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 157 | ჰოფენჰაიმი-რეგენსბურგი | 2,15 | 3,3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| 16.30 | 158 | აუგსბურგი-ვეენი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 16.30 | 159 | აალენი-კობლენცი | 2,3 | 3,3 | 2,6 | 1,35 | 1,22 | 1,45 |

**10 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 160 | ბაიერნი(მ)-ნოტინგენი | 1,3 | 4,4 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,77 |
| 17.00 | 161 | შტუტგარტი(მ)-ოფენბახი | 2,7 | 3,3 | 2,25 | 1,48 | 1,22 | 1,33 |

### იტალია. სერია B

**10 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 173 | არეცო-კროტონე | 1,8 | 2,7 | 5,0 | 1,08 | 1,32 | 1,75 |
| 17.00 | 174 | ასკოლი-ვერონა | 1,8 | 2,7 | 5,0 | 1,08 | 1,32 | 1,75 |
| 17.00 | 175 | ბარი-ჯენოა | 3,4 | 2,6 | 2,3 | 1,47 | 1,37 | 1,22 |
| 17.00 | 176 | კატანია-ტრიესტინა | 1,95 | 2,6 | 4,6 | 1,11 | 1,36 | 1,66 |
| 17.00 | 177 | კატანძარო-სალერნიტანა | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 17.00 | 178 | მოდენა-ვენეცია | 1,6 | 3,0 | 6,5 | 1,04 | 1,28 | 2,05 |
| 17.00 | 179 | ტორინო-პიაჩენცა | 1,6 | 3,0 | 6,5 | 1,04 | 1,28 | 2,05 |
| 17.00 | 180 | ტრევიზო-ტერნანა | 2,25 | 2,6 | 3,5 | 1,2 | 1,36 | 1,49 |
| 17.00 | 181 | ვიჩენცა-პესკარა | 1,7 | 2,8 | 6,0 | 1,05 | 1,32 | 1,9 |
| 17.00 | 182 | პერუჯა-ჩეზენა | 1,6 | 3,0 | 6,5 | 1,04 | 1,28 | 2,05 |

**11 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 183 | ემპოლი-ალბინოლეფე | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |

### იტალია. სერია C1/A

**10 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 184 | კომო-მანტოვა | 3,0 | 2,7 | 2,4 | 1,42 | 1,33 | 1,27 |
| 17.00 | 185 | კრემონეზე-ლუკეზე | 1,7 | 2,8 | 5,6 | 1,05 | 1,3 | 1,86 |
| 17.00 | 186 | ფ.ანდრია-აკირეალე | 2,0 | 2,6 | 4,2 | 1,13 | 1,35 | 1,6 |
| 17.00 | 187 | ფროზინონე-ტორესი | 1,85 | 2,7 | 4,8 | 1,09 | 1,33 | 1,72 |
| 17.00 | 188 | პიზა-სპეცია | 2,05 | 2,6 | 4,0 | 1,14 | 1,35 | 1,57 |
| 17.00 | 189 | პისტოიეზე-ლუმეცანე | 1,7 | 2,8 | 5,6 | 1,05 | 1,3 | 1,86 |
| 17.00 | 190 | პრატო-პავია | 2,7 | 2,6 | 2,7 | 1,32 | 1,35 | 1,32 |
| 17.00 | 191 | სანჯოვანეზე-პრო პატრია | 2,0 | 2,6 | 4,2 | 1,13 | 1,35 | 1,6 |
| 17.00 | 192 | ვიტორია-გროსეტო | 2,05 | 2,6 | 4,0 | 1,14 | 1,35 | 1,57 |

### იტალია. სერია C1/B

**10 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 193 | აველინო-ჩიტადელა | 1,55 | 3,1 | 7,0 | 1,03 | 1,26 | 2,14 |
| 17.00 | 194 | კიეტი-ჯულიანოვა | 1,75 | 2,7 | 5,3 | 1,06 | 1,31 | 1,78 |
| 17.00 | 195 | მარტინა-ფერმანა | 2,0 | 2,6 | 4,2 | 1,13 | 1,35 | 1,6 |
| 17.00 | 196 | პადოვა-ფოჯა | 2,15 | 2,6 | 3,6 | 1,17 | 1,34 | 1,5 |
| 17.00 | 197 | რეჯანა-ნაპოლი | 3,1 | 2,6 | 2,35 | 1,41 | 1,33 | 1,23 |
| 17.00 | 198 | რიმინი-სორა | 1,5 | 3,1 | 8,0 | 1,01 | 1,26 | 2,23 |
| 17.00 | 199 | სამბენედეტეზე-პეზარო | 1,45 | 3,3 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,33 |
| 17.00 | 200 | სპალ-ლანჩანო | 1,85 | 2,6 | 4,8 | 1,08 | 1,33 | 1,68 |
| 17.00 | 201 | ტერამო-ბენევენტო | 2,1 | 2,6 | 3,8 | 1,16 | 1,35 | 1,54 |

### ესპანეთი. II დივიზიონი

**9 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 208 | სელტა-ფეროლი | 1,9 | 2,7 | 4,6 | 1,11 | 1,34 | 1,7 |
| 20.30 | 209 | ლეიდა-ელჩე | 2,15 | 2,7 | 3,6 | 1,19 | 1,34 | 1,54 |
| 20.30 | 210 | უელვა-მალაგა ბ | 1,8 | 2,7 | 5,0 | 1,08 | 1,32 | 1,75 |
| 21.30 | 211 | ეიბარი-ვალიადოლიდი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |

**10 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 212 | ალავესი-პონტევედრა | 1,85 | 2,7 | 4,8 | 1,09 | 1,33 | 1,72 |
| 19.00 | 213 | სპორტინგი-სალამანკა | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| 19.00 | 214 | ტარაგონა-ეხიდო | 2,6 | 2,6 | 2,9 | 1,3 | 1,37 | 1,37 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 215 | ტერასა-სიუდადი | 1,7 | 2,9 | 5,6 | 1,07 | 1,3 | 1,91 |
| 20.00 | 216 | ალმერია-კორდობა | 2,05 | 2,7 | 4,0 | 1,16 | 1,35 | 1,61 |
| 21.00 | 217 | მურსია-კადისი | 2,5 | 2,7 | 2,9 | 1,29 | 1,34 | 1,39 |
| 22.30 | 218 | სერესი-ტენერიფე | 1,95 | 2,7 | 4,4 | 1,13 | 1,35 | 1,67 |

### მჩ. შესარჩევი მატჩები

**9 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 027 | ფინეთი-სომხეთი | 1,2 | 5,3 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,57 |
| 18.00 | 028 | შოტლანდია-ნორვეგია | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 18.00 | 029 | ინგლისი-უელსი | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| 19.00 | 030 | შვედეთი-უნგრეთი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 19.00 | 031 | ჩეხეთი-რუმინეთი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 19.00 | 032 | ლუქსემბურგი-რუსეთი | 25,0 | 7,0 | 1,05 | 5,46 | 1 | 1 |
| 19.00 | 033 | ბელარუსი-მოლდოვა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 19.30 | 034 | სლოვაკეთი-ლატვია | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.00 | 035 | კვიპროსი-ფარერები | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 20.00 | 036 | მალტა-ისლანდია | 8,0 | 4,2 | 1,4 | 2,75 | 1,19 | 1,04 |
| 20.15 | 037 | უკრაინა-საბერძნეთი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 20.30 | 038 | აზერბაიჯანი-ჩრდ.ირლანდია | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 21.00 | 039 | ისრაელი-შვეიცარია | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 21.00 | 040 | ალბანეთი-დანია | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 21.00 | 041 | თურქეთი-ყაზახეთი | 1,07 | 7,0 | 17,0 | 1 | 1 | 4,95 |
| 21.15 | 042 | ლიხტენშტაინი-პორტუგალია | 40,0 | 10,0 | 1,01 | 8 | 1 | 1 |
| 22.00 | 043 | არგენტინა-ურუგვაი | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 22.15 | 044 | ხორვატია-ბულგარეთი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.15 | 045 | ბოსნია-სერბია | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.30 | 046 | ავსტრია-პოლონეთი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 22.30 | 047 | მაკედონია-ჰოლანდია | 8,0 | 4,6 | 1,3 | 2,92 | 1,11 | 1,01 |
| 23.00 | 048 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 23.00 | 049 | სლოვენია-იტალია | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| 23.45 | 050 | ესპანეთი-ბელგია | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 24.00 | 051 | ბოლივია-პერუ | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 02.10 | 052 | კოლუმბია-პარაგვაი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 05.00 | 053 | ვენესუელა-ბრაზილია | 7,0 | 3,6 | 1,45 | 2,37 | 1,2 | 1,03 |

**10 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.05 | 054 | ეკვადორი-ჩილე | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |

### შვეიცარია. ჩელენჯლიგა

**9 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 303 | 18:30 | ვილი-იუვენტუსი | 1.65 | 3.3 | 4.7 | 1.1 | 1.22 | 1.93 |
| 304 | 19:30 | ვოლენი-შო დე ფონი | 1.65 | 3.2 | 4.6 | 1.08 | 1.21 | 1.88 |
| 305 | 21:30 | ბულე-მეირინი | 2.45 | 3.2 | 2.5 | 1.38 | 1.23 | 1.4 |
| 306 | 21:30 | ლუცერნი-ივერდონი | 2.2 | 3.1 | 2.9 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 307 | 19:30 | ბელინცონა-კრინსი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |

**10 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 308 | 16:30 | კონკორდია-ლუგანო | 2.5 | 3.1 | 2.5 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 309 | 16:30 | ბოლმი-კიასო | 2.9 | 3.2 | 2.1 | 1.52 | 1.21 | 1.26 |

### ბელგია. მეორე დივიზიონი

**9 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 311 | 21:30 | გეელი-ვიზეტი | 1.5 | 3.5 | 5.6 | 1.04 | 1.18 | 2.15 |
| 312 | 22:00 | ვაასლანდი-ტუბეკე | 2.4 | 3.1 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 313 | 22:00 | დაინცე-დესელი | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 442 | 22:00 | ვირტონი-კორტრაიკი | 1.55 | 3.4 | 5.2 | 1.06 | 1.19 | 2.05 |
| 443 | 22:00 | ანტვერპენი-ეუპენი | 1.4 | 3.6 | 6.5 | 1.0 | 1.15 | 2.31 |

**10 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 444 | 17:00 | ვარეგემი-ვიგორი | 1.4 | 3.6 | 6.5 | 1.0 | 1.15 | 2.31 |
| 317 | 17:00 | აალსტი-რონსე | 2.3 | 3.1 | 2.6 | 1.32 | 1.22 | 1.41 |
| 318 | 17:00 | რუზელარე-ჰეუსდენი | 2.3 | 3.1 | 2.6 | 1.32 | 1.22 | 1.41 |
| 319 | 17:00 | სტ.ჟილი-პატრო | 2.2 | 3.2 | 2.65 | 1.3 | 1.2 | 1.44 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

### ჰოლანდია. მეორე დივიზიონი

**10 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 328 | 16:30 | ჰაარლემი-ტელსტარი | 1.45 | 4.3 | 5.2 | 1.08 | 1.13 | 2.35 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ნორვეგია. 1 დივიზიონი

**10 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 337 | 17:00 | ალესუნდი-სტარტი | 2.15 | 3.7 | 2.5 | 1.35 | 1.15 | 1.49 |
| 338 | 17:00 | ჰაუგესუნდი-ბრინი | 2.3 | 3.8 | 2.3 | 1.43 | 1.14 | 1.43 |
| 339 | 17:00 | კონგსვინგერი-ჰიონეფოსი | 1.6 | 4.1 | 4.0 | 1.15 | 1.14 | 2.02 |
| 340 | 17:00 | მანდალი-ტრომსდალენი | 1.3 | 5.0 | 7.0 | 1.03 | 1.09 | 2.91 |
| 341 | 17:00 | მოსი-ჰიოდი | 2.1 | 3.5 | 2.7 | 1.31 | 1.18 | 1.52 |
| 342 | 17:00 | პორს გრენლანდი-რაუფოსი | 2.0 | 3.8 | 2.6 | 1.31 | 1.13 | 1.54 |
| 343 | 17:00 | სკეიდი-სანდეფიორდი | 2.65 | 3.9 | 2.05 | 1.57 | 1.15 | 1.34 |
| 344 | 17:00 | სტრომსგოდ-ვარდ ჰაუგესუნ | 1.55 | 4.0 | 4.2 | 1.11 | 1.13 | 2.04 |

### შვედეთი. სუპერეტა

**10 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 349 | 16:00 | ოპერა-ბოდენსი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 350 | 16:00 | ფალკენბერგი-ასირისკა | 4.0 | 3.4 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 351 | 16:00 | ფრისკა-ბრომაპოიკარნა | 3.0 | 3.3 | 2.1 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| 352 | 16:00 | იოსტერსი-ატვიდაბერგი | 2.3 | 3.2 | 2.6 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 353 | 16:00 | ფრიოლუნდა-ბრაგე | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 354 | 16:00 | გაის-ნორჩიოპინგი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 355 | 21:00 | ვესტეროსი-გეფლე | 2.6 | 3.2 | 2.3 | 1.43 | 1.22 | 1.33 |

### პორტუგალია. სუპერლიგა

**10 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 331 | 22:45 | ბეირა მარი-მარიტიმუ | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |

### დანია. 1დივიზიონი

**9 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 335 | 17:00 | ბრიონსჰიოი-სკიოლდი | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |

### ირლანდია

**11 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 357 | 22:45 | დუბლინი-უოტერფორდი | 2.7 | 3.0 | 2.4 | 1.42 | 1.27 | 1.33 |
| 360 | 22:45 | კორკი-ლონგფორდი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |

### აშშ

**9 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 363 | 23:45 | ნიუ იორკი-კოლუმბუსი | 2.25 | 3.1 | 2.8 | 1.3 | 1.24 | 1.47 |
| 364 | 23:45 | ვაშინგტონი-ნიუ ინგლენდი | 1.85 | 3.2 | 3.7 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 365 | 23:45 | ლოს ანჯელესი-დალასი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 366 | 23:45 | სან ხოსე-კანზასი | 2.4 | 3.1 | 2.6 | 1.35 | 1.24 | 1.41 |

### სამხ. ამერიკის თასი

**9 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 434 | 23:00 | ინტერნასიონალი-კრუზეირო | 1.8 | 3.4 | 3.7 | 1.17 | 1.21 | 1.77 |

### ამხანაგური მატჩები

**9 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 435 | 20:00 | ირანი-გერმანია | 5.5 | 3.5 | 1.55 | 2.13 | 1.2 | 1.07 |

### ეჩ.შესარჩევი მატჩები(21)

**9 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 455 | 16:30 | მაკედონია-ჰოლანდია | 4.1 | 3.6 | 1.65 | 1.91 | 1.17 | 1.13 |
| 472 | 14:00 | ფინეთი-სომხეთი | 1.25 | 5.0 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.07 |

### ჰოკეი. შვედეთი

**9 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 888 | 17:00 | იურგორდენი-ფერიესტადი | 2.0 | 4.2 | 2.5 | 1.35 | 1.11 | 1.56 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 889 | 17:00 | ჰვ 71-ტიმრე | 1.8 | 4.2 | 2.9 | 1.25 | 1.11 | 1.71 |
| 890 | 17:00 | მოდო-ბრიუნესი | 1.45 | 5.0 | 4.0 | 1.12 | 1.06 | 2.22 |
| 891 | 17:00 | მორა-ლულეო | 2.4 | 4.2 | 2.1 | 1.52 | 1.12 | 1.39 |
| 892 | 17:00 | ლინჩიოპინგი-მალმიო | 1.5 | 4.8 | 3.8 | 1.14 | 1.07 | 2.12 |

**ჰოკეი. ფინეთი**

**9 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 897 | 17:00 | იუვესკიულე-პელიკანსი | 1.45 | 4.5 | 4.5 | 1.09 | 1.09 | 2.25 |
| 898 | 17:00 | კერპრტი-ესეტი | 1.5 | 4.5 | 4.0 | 1.12 | 1.09 | 2.11 |
| 899 | 17:00 | ლუკო-ჰელსინკი | 2.0 | 4.2 | 2.5 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 900 | 19:30 | ესპოო-ტაპარა | 2.0 | 4.2 | 2.5 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 901 | 20:30 | ილვესი-ყურკუ | 2.1 | 4.2 | 2.4 | 1.39 | 1.12 | 1.52 |

**ჰოკეი. ჩეხეთი**

**9 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 909 | 19:00 | ლიბერეცი-ვიტკოვიცე | 2.0 | 4.2 | 2.5 | 1.35 | 1.11 | 1.56 |

**ჰოკეი.რუსეთი**

**9 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 950 | 19:00 | დინამო-აკ ბარსი | 1.65 | 4.4 | 3.4 | 1.2 | 1.11 | 1.91 |
| 952 | 14:00 | ავანგარდი-ცსკა | 1.5 | 5.0 | 4.0 | 1.15 | 1.09 | 2.22 |
| 953 | 15:00 | ს,იულაევი-სიბირი | 1.5 | 5.0 | 4.0 | 1.15 | 1.09 | 2.22 |
| 954 | 15:00 | მაგნიტოგორსკი-ნეფტეხიმკი | 1.45 | 5.4 | 4.0 | 1.14 | 1.06 | 2.29 |
| 955 | 15:00 | ლადა-ნოვოკუზნეცკი | 1.45 | 5.4 | 4.0 | 1.14 | 1.06 | 2.29 |
| 956 | 17:00 | ხიმიკი-მოლოტი | 1.45 | 5.4 | 4.0 | 1.14 | 1.06 | 2.29 |

**კალათბურთი. ესპანეთი**

**9 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 877 | 22:45 | ლეიდა სან ფერნანდო | 1.6 | 12.0 | 2.0 | 1.41 | 1.0 | 1.71 |
| 957 | 22:30 | ხირონა-ხუვენყუდი | 2.0 | 12.0 | 1.6 | 1.71 | 1.0 | 1.41 |

**10 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 874 | 14:30 | ალიკანტე-უნიკახა | 2.4 | 12.0 | 1.5 | 2.0 | 1.0 | 1.33 |
| 875 | 14:30 | ბარსელონა-გრანადა | 1.1 | 12.0 | 5.0 | 1.0 | 1.0 | 3.52 |
| 876 | 21:00 | ბილბაო-ბრეოგანი | 1.85 | 12.0 | 1.85 | 1.6 | 1.0 | 1.6 |
| 878 | 20:00 | ვალენსია-ესტუდიანტესი | 1.3 | 12.0 | 2.7 | 1.17 | 1.0 | 2.2 |
| 879 | 20:00 | რეალი-ვალიადოლიდი | 1.05 | 12.0 | 4.8 | 1.0 | 1.0 | 3.42 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 880 | 15:00 | ტენერიფე-აუნკაბლე | 1.6 | 12.0 | 2.0 | 1.41 | 1.0 | 1.71 |
| 881 | 21:00 | მანრესა-ტაუ | 2.7 | 12.0 | 1.3 | [illegible] | [illegible] | [illegible] |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კალათბურთი.იტალია**

**9 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 865 | 20:30 | რომა-ბოლონია | 1.7 | 12.0 | 2.0 | 1.48 | 1.0 | 1.71 |
| 866 | 22:30 | ავრორა-ლივორნო | 1.4 | 12.0 | 2.4 | 1.25 | 1.0 | 2.0 |

**10 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 867 | 14:00 | უდინე-ვარეზე | 1.5 | 12.0 | 2.5 | 1.33 | 1.0 | 2.0 |
| 868 | 20:15 | ტერამო-ბიელა | 1.7 | 12.0 | 2.0 | 1.48 | 1.0 | 1.71 |
| 869 | 20:15 | მილანი-კალაბრია | 1.3 | 12.0 | 3.0 | 1.17 | 1.0 | 2.4 |
| 871 | 20:15 | ბიპოპი-სიენა | 3.0 | 12.0 | 1.2 | 2.4 | 1.0 | 1.09 |
| 872 | 20:15 | კანტუ-აველინო | 1.1 | 12.0 | 4.0 | 1.0 | 1.0 | 3.0 |
| 873 | 20:15 | ნაპოლი-სკავოლინი | 1.5 | 12.0 | 2.5 | 1.33 | 1.0 | 2.06 |






## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5028 | შოტლანდია-ნორვეგია | 3,1 | 2,0 | 2,2 | 1,21 | 1,28 | 1,04 |
| 5029 | ინგლისი-უელსი | 1,55 | 2,7 | 7,5 | 1 | 1,28 | 1,98 |
| 5030 | შვედეთი-უნგრეთი | 1,8 | 2,3 | 5,6 | 1 | 1,36 | 1,63 |
| 5031 | ჩეხეთი-რუმინეთი | 1,95 | 2,15 | 5,3 | 1,02 | 1,42 | 1,52 |
| 5037 | უკრაინა-საბერძნეთი | 2,6 | 2,05 | 3,6 | 1,14 | 1,5 | 1,3 |
| 5043 | არგენტინა-ურუგვაი | 1,65 | 2,45 | 7,0 | 1 | 1,33 | 1,81 |
| 5044 | ხორვატია-ბულგარეთი | 2,1 | 2,15 | 5,0 | 1.06 | 1,47 | 1,5 |
| 5046 | ავსტრია-პოლონეთი | 2,6 | 2,05 | 3,6 | 1,14 | 1,5 | 1,3 |
| 5047 | მაკედონია-ჰოლანდია | 7,5 | 2,7 | 1,55 | 1,98 | 1,28 | 1 |
| 5048 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,7 | 2,45 | 6,5 | 1 | 1,34 | 1,77 |
| 5049 | სლოვენია-იტალია | 4,6 | 2,1 | 2,25 | 1,44 | 1,51 | 1,08 |
| 5050 | ესპანეთი-ბელგია | 1,7 | 2,45 | 6,5 | 1 | 1,34 | 1,77 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

5428 შოტლანდია-ნორვეგია --- 1,9 -------------------- 1,9
5429 ინგლისი-უელსი ----------- 1,2 -------------------- 4,0
5430 შვედეთი-უნგრეთი -------- 1,35 -------------------- 3,2
5431 ჩეხეთი-რუმინეთი --------- 1,45 -------------------- 2,8
5437 უკრაინა-საბერძნეთი ------ 1,8 -------------------- 2,0
5443 არგენტინა-ურუგვაი ------ 1,3 -------------------- 3,4
5444 ხორვატია-ბულგარეთი -- 1,55 -------------------- 2,5
5446 ავსტრია-პოლონეთი ------- 1,8 -------------------- 2,0
5447 მაკედონია-ჰოლანდია ----- 3,7 -------------------- 1,25
5448 საფრანგეთი-ირლანდია -- 1,3 -------------------- 3,4
5449 სლოვენია-იტალია -------- 2,3 -------------------- 1,65
5450 ესპანეთი-ბელგია --------- 1,3 -------------------- 3,4

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5128 | შოტლანდია-ნორვეგია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3.8 |
| 5129 | ინგლისი-უელსი | 1,6 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5130 | შვედეთი-უნგრეთი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5131 | ჩეხეთი-რუმინეთი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5137 | უკრაინა-საბერძნეთი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5143 | არგენტინა-ურუგვაი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5144 | ხორვატია-ბულგარეთი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5146 | ავსტრია-პოლონეთი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5147 | მაკედონია-ჰოლანდია | 12,0 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 5,3 | 3,5 | 25,0 | 12,0 | 1,6 |
| 5148 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5149 | სლოვენია-იტალია | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 5150 | ესპანეთი-ბელგია | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5528 | შოტლანდია-ნორვეგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ინგლისი-უელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | შვედეთი-უნგრეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | ჩეხეთი-რუმინეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | უკრაინა-საბერძნეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | არგენტინა-ურუგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | ხორვატია-ბულგარეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | ავსტრია-პოლონეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | მაკედონია-ჰოლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | საფრანგეთი-ირლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | სლოვენია-იტალია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5550 | ესპანეთი-ბელგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5328 | შოტლანდია-ნორვეგია | 1,75 | 1,85 |
| 5329 | ინგლისი-უელსი | 1,85 | 1,75 |
| 5330 | შვედეთი-უნგრეთი | 1,8 | 1,8 |
| 5331 | ჩეხეთი-რუმინეთი | 1,75 | 1,85 |
| 5337 | უკრაინა-საბერძნეთი | 1,75 | 1,85 |
| 5343 | არგენტინა-ურუგვაი | 1,8 | 1,8 |
| 5344 | ხორვატია-ბულგარეთი | 1,7 | 1,9 |
| 5346 | ავსტრია-პოლონეთი | 1,7 | 1,9 |
| 5347 | მაკედონია-ჰოლანდია | 1,85 | 1,75 |
| 5348 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,85 | 1,75 |
| 5349 | სლოვენია-იტალია | 1,85 | 1,75 |
| 5350 | ესპანეთი-ბელგია | 1,8 | 1,8 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5228 | შოტლანდია-ნორვეგია | 1,65 | 1,95 |
| 5229 | ინგლისი-უელსი | 1,9 | 1,7 |
| 5230 | შვედეთი-უნგრეთი | 1,85 | 1,75 |
| 5231 | ჩეხეთი-რუმინეთი | 1,8 | 1,8 |
| 5237 | უკრაინა-საბერძნეთი | 1,65 | 1,95 |
| 5243 | არგენტინა-ურუგვაი | 1,9 | 1,7 |
| 5244 | ხორვატია-ბულგარეთი | 1,75 | 1,85 |
| 5246 | ავსტრია-პოლონეთი | 1,7 | 1,9 |
| 5247 | მაკედონია-ჰოლანდია | 2,0 | 1,6 |
| 5248 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,9 | 1,7 |
| 5249 | სლოვენია-იტალია | 1,7 | 1,9 |
| 5250 | ესპანეთი-ბელგია | 1,9 | 1,7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება




გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

# დენვერული ჭრელო პეპელა
## ცქიტიშვილი (გა)დარჩა

*რამდენიმე დღის წინ დენვერულ პრესაში ნიკოლოზ ცქიტიშვილის ხმამაღალი სიტყვები გაისმა, სკამზე ჯდომა მომბეზრდა და უფროსობასთან ლაპარაკს ვაპირებო. გამოხდა ორიოდ დღე და გაზეთებში მიყოლებით იბეჭდება სტატიები „ცქიტიშვილის საქმესთან“ დაკავშირებით. „როკი მაუნთინის“ ჟურნალისტები — აარონ ლოპესი და კრის ტომასონი დეტექტიურად მისდევენ ცქიტიშვილის ტრანსფერის ამბებს და დღეს რომ ერთს დაწერენ, ხვალ ოპერატიულად გადმოსცემენ ამ საქმესთან დაკავშირებულ სიახლეებს.*

*მაშ ასე, 7 ოქტომბერს „როკი მაუნთინში“ „დენვერში“ სკამზე ჯდომით დაღლილი ცქიტიშვილის მრისხანე და შეუვალი პორტრეტი დაიხატა, ხოლო მომდევნო სტატიაში ქართველი ფორვარდი ძალიან მომლბალი და მომთმენი ჩანდა. ჩვენც გთავაზობთ ამ სტატიებს, რომლის დასკვნა ასეთია: ცქიტიშვილი „დენვერში“ დროებით დარჩა. არადა, იგი გუნდიდან წასასვლელად სერიოზულად ემზადებოდა და საამისოდ აგენტიც კი გამოიცვალა...*

### ROCKY MOUNTAIN NEWS

„დენვერის“ ფორვარდმა ნიკოლოზ ცქიტიშვილმა, რომელსაც ორწლიან კარიერაში იშვიათად უთამაშია, თავის აგენტ სტივენ ჰიუმანს კლუბის ხელმძღვანელობასთან დალაპარაკება მოსთხოვა. ეს მოხდა ოთხშაბათს და ჰიუმანი „ნაგიტსის“ პრეზიდენტ კიკი ვანდევეისთან შეხვედრას ორშაბათს გეგმავს, როცა დენვერში ჩავა.

„მე ჩემს აგენტს ვუთხარი, რომ ძალიან მინდა გუნდიდან წასვლა — ამბობს ცქიტიშვილი — მან დამამშვიდა, ამაზე არ იდარდო, ორშაბათს ჩამოვალ დენვერში და კიკისთან ყველაფერს გავარკვევო.“

21 წლის ცქიტიშვილი შარშანწინდელ დრაფტზე მე-5 ნომრად აიყვანეს და მას შემდეგ გუნდში ვერა და ვერ დაფუძნდა. ახლა მისი ყოფა მთლად არასახარბიელოა, რაკი „ნიუ ჯერსიდან“ „დენვერმა“ სუპერფორვარდი კენიონ მარტინი შეიმატა და ქართველის ისედაც მწირი სათამაშო დრო სავარაუდოდ მთლად შემცირდება.

„თუ არ ითამაშებ, ვერც განვითარდები — ვარაუდობს ცქიტიშვილი — მე ახლა მჭირდება მოედანზე ყოფნა და არ მაინტერესებს, ნამდვილად ვუნდივართ დენვერელებს თუ არა. ისინი ალბათ მათამაშებენ კიდეც, მაგრამ რამდენ ხანს? ხუთ წუთს... არა, კარგი იქნება, გუნდი გამოვიცვალო. მთლად უკეთესია, თუ იქ გადავალ, სადაც არ ჰყავთ ვარსკვლავი ფორვარდები.“

„სკიტა“ ჩვენი გუნდის ნაწილია, მინდა, ეს ყველამ შეიგნოს — ამბობს „დენვერის“ შეფი კიკი ვანდევეი — მე მისთვის მხოლოდ კარგი მწადია. თუ მას გულით უნდა წასვლა, გავუშვებ, მაგრამ ხელაღებით და გაუაზრებლად ამ ნაბიჯს არ გადავდგამ. მე ხომ ცუდს არ ვუსურვებ ჩემს გუნდს. ვეცდები, ცქიტიშვილი იმაში დავარწმუნო, რომ „დენვერში“ მის კეთილდღეობაზე ფიქრობენ. ის აქ ყველას უყვარს და „სკიტაც“ ძალიან გვაფასებს. ერთადერთი, რისთვისაც ეს გაუგებრობა ხდება, სათამაშო დროის სიმცირეა.“

*ამის შემდეგ, მეორე დღეს, „როკი მაუნთინში“ იბეჭდება სტატია, რომელშიც ცქიტიშვილი „დენვერში“ დროებით დარჩენაზეც ლაპარაკობს — თუ კვლავ არ მათამაშებენ, წავალო, ამბობს. ვანდევეი და „ცქიტოს“ აგენტი ჯერ არ შეხვედრილან ერთმანეთს და ქართველმა ფორვარდმა უკვე დათმო. აი, ამ სტატიის ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდებიც...*

მეორე დღეა, „დენვერმა“ საწვრთნელი ბანაკი დასცა და ჩანს, ცქიტიშვილის გაშვებაზე საფიქრალადაც გუნდის ხელმძღვანელებს ჯერ არ სცხელათ. კიკი ვანდევეი: „ჯერ ძალიან ადრეა, ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება და მერელა გადავწყვეტთ ცქიტიშვილის გუნდიდან გაშვების საკითხს.“

„მე ვთხოვე ჩემს აგენტს, „დენვერის“ ხელმძღვანელობას ჩემს გაშვებასთან დაკავშირებით დალაპარაკებოდა, თუმც ახლა დროებით დარჩენა გადავწყვიტე. მე მინდა „დენვერში“ თამაში, მაგრამ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წამივა საქმეები. დარწმუნებული ვარ, იმის ძალა შემწევს, რომ გუნდის მწვრთნელი ჯეფ ბზდელიკი ჩემს შესაძლებლობებში დავარწმუნო და მან ბევრი მათამაშოს. ისე, არა მგონია, მან 5-10 წუთზე მეტი დრო მომცეს, მაგრამ პირველ თვეებში თუ არაფერი შეიცვალა, აუცილებლად წავალ.“

ვანდევეი კი მაინც მზადაა, ცქიტიშვილის აგენტს ელაპარაკოს, როცა ის დენვერში ჩამოვა: „ჩვენ ტელეფონით ყოველ კვირას ვსაუბრობთ, ჰიუმანთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და მე არავითარ გართულებებს არ ველი.“

ცქიტიშვილს სათამაშო დროის სერიოზული პრობლემა აქვს. ორი წელი ისედაც იშვიათად თამაშობდა და ახლა კენიონ მარტინიც მოვიდა. „მარკუს კემბისა და ნენეს გამო მე ისედაც ცოტას ვთამაშობდი ბოლო ორ სეზონში და ახლა ასეთი ძლიერი ფორვარდიც შეგვემატა“ — ჯავრობს ცქიტიშვილი.

„სკიტას“ ფრთის პოზიციაზეც შეუძლია თამაში, მაგრამ ეს არ უნდა მწვრთნელს: „ცქიტიშვილმა თავდამსხმელად უნდა ითამაშოს, რათა განვითარდეს, მისი ადგილი სამწამიანის მიდამოებშია.“ — ამბობს ჯეფ ბზდელიკი.

ბზდელიკისვე აზრით, ძნელი იქნება ცქიტიშვილის განვითარება, რაკი „დენვერი“ ისევ გამარჯვებებს გეგმავს და ქართველმა ფორვარდმა თუ თავი ვერ გამოიჩინა, კვლავ სკამზე მოუწევს ჯდომა.

*აი, ასე — ცქიტიშვილი დარჩენაზე დაითანხმეს, მაგრამ რატომ მოხდა, რომ წინა დღით კატეგორიული ქართველი მეორე დღეს შედარებით დამყოლი ჩანდა, დენვერული პრესა არაფერს იუწყება.*

**ირაკლი პერტაია**

# თუჯივით მაგარი არა, მაგრამ...
## ოთარ ხმელიძე რუსთავს ამბიციას უნარჩუნებს

*„აზოტი“, თმკც, „თუჯი“ — იცოცხლეთ, სახელები გამოიცვალა რუსთაველმა კლუბმა ამ ბოლო ერთ წელიწადში. ზაფხულში, წინა სეზონი რომ ახალი დამთავრებული იყო, რუსთაველთა მწვრთნელი ოთარ ხმელიძე სრულმა უიმედობამ მოიცვა — ოთხივე სპონსორი თვალსა და ხელს შუა შემოეცალა და გუნდიც დაიშალა. რუსთაველთა სპონსორ საწარმოებს ახალი ხელმძღვანელები გამოუჩნდათ და ერთ-ერთის, „თუჯის“ ფრანგმა ინვესტორმა ოთარ ხმელიძის გუნდს დახმარების ხელი გაუწოდა. ფლორიან კასტროლი თავისი ფეხით მისულა „ქიმიკოსთა“ დარბაზში და ოთარ ხმელიძე დაუმშვიდებია, შენი გუნდის ხარჯებს მე გავიღებ, ვარჯიში განაახლეთო...*



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო



მიხეილ ბერუაშვილის კალათბურთიდან წასვლის შემდეგ ოთარ ხმელიძეს ვეტერანი აღარავინ შერჩა

— ახალგაზრდული გუნდი გვეყოლება, მაგრამ იოლად ვერავინ დაგვჩაგრავს — გვეუბნება ოთარ ხმელიძე.

**— წინა სეზონშიც საკმაოდ ახალგაზრდული გუნდი გყავდათ...**

— გვყავდა, მაგრამ ახლა „აზოტიდან“ შემორჩენილი ორი ვეტერანიც წავიდა, მიხეილ ბერუაშვილმა და ზაზა გაბისონიამ თამაშს თავი დაანებეს, მათ ნაცვლად დუბლებიდან დავიმატეთ ბიჭები.

**— მხოლოდ ამ ორმა კალათბურთელმა დაგტოვათ?**

— ლევან ჯიმშელეიშვილიც აღარაა ჩვენთან, რომელიც უდისციპლინობისთვის დავითხოვე გუნდიდან. დანარჩენები კი ისევ ჩვენთან არიან — დანელიანი, ჩაჩუა, ლიპარტელიანი, არწივიძე, პატარა ბოისა...

**— ტოლიკა თქვენთანაა? ის ხომ უცხოეთში აპირებდა წასვლას...**

— ახლაც აპირებს, მაგრამ მგონი, არ გამოსდის. ბოისა ალბათ ჩვენთან დარჩება და დიდ დახმარებასაც გაგვიწევს. გვყავს ერთი ახალგაზრდა ახალწვეული — დავით მურჯიკნელი. მან წინა სეზონი მოსკოვის „დინამოში“ გაატარა, ახალგაზრდულ გუნდში ირიცხებოდა, მაგრამ საპასპორტო პრობლემა შეექმნა და საქართველოში დაბრუნდა.

**— სავარჯიშო პირობები როგორი გაქვთ და საერთოდ, რა ძალის გუნდია „თუჯი“?**

— ჯერ ბოლომდე არაა გადაწყვეტელი, რომ „თუჯი“ გვერქმევა, თუმც დროებით, დუდუ დადიანის ტურნირზე ამ სახელით გამოვალთ. დალხენილად, ცხადია, არ ვართ, თორემ გაცილებით ძლიერ შემადგენლობას შემოვიკრეფდი. მაგრამ არც ისეა საქმე, ვარჯიშისა და თბილისში გამომგზავრების პრობლემა შეგვექმნას.

**— ახალი სპონსორი რას გპირდებათ?**

— „თუჯის“ ფრანგ ინვესტორს ერთხელ შევხვდი. ის თავად მოვიდა დარბაზში და ჩვენი დახმარების სურვილი გამოთქვა. ივარჯიშეთ, არ დაიშალოთ და არაფერს მოგაკლებთო. ის ახლა საფრანგეთშია და რომ ჩამოვა, უფრო კონკრეტულად დავილაპარაკებთ. რა ვიცი, ალბათ არ გადაგვყვება, მაგრამ ჩვენთვის ისიც საკმარისია, რომ გუნდის საარსებო თანხა მაინც მოგვცეს.

**— ესე იგი, ნაკლებადამბიციურები იქნებით...**

— ეს თავისთავად, მაგრამ ჩემი გაზრდილი ბიჭების იმედი მაქვს. ესენი წლეულსვე იტყვიან თავიანთ სიტყვას საქართველოს ჩემპიონატში და არაერთ ძლიერ გუნდს გავამწარებთ. რუსთავის გუნდს ამბიცია არასდროს აკლდა და მთლად უამისოდ არც წლეულს ვიქნებით.

**ირაკლი პერტაია**

# ეს მხიარულ როჯერს გაუმარჯოს!



**როჯერ ფედერერზე** წლეულს იმდენი აღმატებითი სიტყვა თქმულა, იმდენი გულბაათური სადღეგრძელო დალეულა, რომ აბა მე, თქვენმა მონამორჩილმა და ჟურნალისტიკის ჭიაკელამ რაღა უნდა მოგახსენოთ ამ გენიალური კაცის მაღალნიჭიერებისა და წალმართობის შესაფერი? — ვერც ვერაფერი, ჩემო ჩოგბურთზე შეყვარებული სუფრის წევრებო, ვაგლახ რომ, ვერც ვერაფერი.

ჰოდა, სწორედ ამის გამოისობით, გადამიწყვეტია, თავად დავდუმდე და თქვენს სამსჯავროზე მშრალი, ოღონდ მრავლისმეტყველი ფაქტოლოგია წარმოვადგინო. ამით თქვენ კიდევ ერთ მდარე სადღეგრძელოს გადარჩებით, მე კი ნაბახუსევს კიდევ ერთხელ ავირიდებ წინალამინდელი როშვის გახსენებით გამოწვეული სირცხვილის გრძნობას.

მაშ, ასე:

რაც რომ გასულ კვირას ტაილანდის ღია პირველობის ფინალში ამერიკელ ენდი როდიკს 6:4, 6:0 სძლია, ამ 23 წლის შვეიცარიელმა წლეულს უკვე (6 მარცხის წილ) 69 გამარჯვება, 10 ტიტული და 4 837 547 დოლარი დაიგროვა.

ერთ სეზონში ათი ტიტული ბოლოჯერ ტომას მუსტერს ეშოვა 1995 წელს. განთქმულმა ავსტრიელმა იმ სეზონში 12 რაგინდარა ტურნირზე იმარჯვა.

უნდა ითქვას ისიც, რომ ფედერერმა უკვე ზედიზედ მეთორმეტე ფინალი მოიგო, რაიც ასევე გამოსარჩევი და სარეკორდო ამბავი გახლავთ — უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ასეთი რამ მხოლოდ ამერიკელ ჯონ მაკინროის (1984-85) და შვედ ბიორნ ბორგს (1979-80) მოეხერხებინათ.

2003 წლის დასაწყისიდან მხიარულმა როჯერმა 17 ტიტული მოაქუჩა. მისდა საამაყოდ უნდა ითქვას ისიც, რომ მას უკვე 18 მატჩია, ამქრის ზეათეულელებთან არ წაუგია. ამათგან 13 მოგება წლევანდელზე მოდის.

აშშ-ის ღია პირველობაზე წლის მესამე სლემტიტულის მოგების შემდეგ — და აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ერთ სეზონში დიდი მუზარადის სამი ტურნირი ბოლოჯერ 1988 წელს შვედმა მატჩს ვილანდერმა დაიონავრა — ფედერერმა ჩემპიონთა რბოლაში საარაკოდ ბევრ, 1117 ქულას მოუკრა ჭიპი და სეზონის გასრულებამდე ორი თვით ადრე რბოლის გამარჯვებულიც გახდა. როგორც დავთრებში ამოიკითხავთ, ასე ადრე და ამდენი ქულით რბოლაში ჯერ არც ერთ მეჩოგნეს არ უპირველია.

მორიგი რეკორდის მისათვლელად ფედერერს ახლა ან 18 ოქტომბერს დასაწყებ მადრიდულ მასტერსტურნირზე ანაც 1 პირველ ნოემბერს დასაწყებ პარიზულ მასტერსტურნირზე გამარჯვება სჭირდება. თუკი მას ერთ-ერთი ამ ტურნირის მოგება მაინც გამოუვა, ის გახდება პირველი მეჩოგნე 1990 წლიდან ანუ მას შემდეგ, რაც კი საერთოდ ეიტიპის მასტერსსერია არსებობს. შეგახსენებთ, რომ დიდი მუზარადის სამი ტურნირის (ავსტრალიის ღია პირველობის, უიმბლდონისა და ფლეშინგმედოუზობის) გარდა ფედერერმა წლეულს სამი მასტერსტურნირიც (ინდიანუელსობა, ჰამბურგობა და მონრეალტორონტობა) მოიგო.

ახლა კი, ჩემო კეთილებო — თუკი აქამდე ვინმეს კიდევ სჭირდებოდა ამ კაცის განსაკუთრებულობაში დარწმუნება — ეს განსხვავებული გამომართვით და ბოლომდე შესვით.

შესვით? გაამოსთ.

**ლევან ძელაურაძე**





კეიტლინ სანდენო



მაიკლ ფელპსი

# ამერიკა ამერიკელებს

## მაიკლ ფელპსს მოკლე ფეხები და ბევრი ოქრო აქვს

**ამერიკელი** მოცურავე მაიკლ ფელპსი, ვინაც ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ექვსი ოქროს მედალი მოიპოვა, კვლავ აგრძელებს გამარჯვებათა სერიას. ამჯერად იგი მონაწილეობს ამერიკის ქალაქ ინდიანაპოლისში მიმდინარე „მოკლე წყლის“ მსოფლიოს ჩემპიონატში. აქ მაიკლ ფელპსმა შეჯიბრების პირველ დღეს 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყველას აჯობა — 1.43,59. მეორე იყო კანადელი სეი (1.44,39), ხოლო მესამე ამერიკელი ლოხტი (1.44,97).

ათენის ექვსგზის ოქროსმედალოსანს მხარი აუბეს მისმა თანამემამულეებმა და ხუთივე პირველი ადგილი დაიკავეს. მათგან კეიტლინ სანდენო უძლიერესი იყო ქალთა 200 მეტრზე ბატერფლაით (2.06,95). აგრეთვე 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (4.30,12).

ამ სახეობებში მეორე ადგილებზეც მისი თანამემამულეები შესაბამისად დესკენზა (2.07,79) და ჰოფი (4.33,09) გავიდნენ.

ამერიკელებმა გაიმარჯვეს აგრეთვე ვაჟთა თავისუფალი სტილით 4x100 მეტრზე (3.09,96) ცურვაში, სადაც მეორე და მესამე ადგილებზე ბრაზილიელები და კანადელები გავიდნენ (შესაბამისად 3.12,33 და 3.13,62).

ამერიკელები უძლიერესები იყვნენ ქალთა თავისუფალი სტილით ცურვის ესტაფეტაშიც — 7.47,72. მეორე ადგილზე ავსტრალიელები (7.51,39) გავიდნენ, ხოლო მესამეზე — შვედები (7.54,39).



# F1

**XVII ეტაპი** იაპონიის დიდი პრიზი

სუძუკა ინტერნეშენელი

*სუძუკა, 10 ოქტომბერი*



**ტრასის სიგრძე** ---------------------------------- 5.807 კმ
**რბოლის დისტანცია** ---------------------- 53 წრე — 307.573 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 9.30 საათზე*

**შარშან**: 1 ბარიკელო (ფერარი); 2 რაიკონენი (მაკლარენი); 3 კულჰარდი (მაკლარენი); 4 ბატონი (**B.A.R.**); 5 ტრული (რენო); 6 სატო (**B.A.R.**); 7 და მატა (ტოიოტა); 8 მ.შუმახერი (ფერარი)

**წრის რეკორდი**: 2003 — რ.შუმახერი 1.33,408 (224,5კმ/სთ)

**გაუგონარი ამბავია:** იაპონია თავისი მეოცე დიდი პრიზის გასათამაშებლად კი ემზადება, მაგრამ ამომავალი მზის ქვეყანას ტაიფუნი მიეჭრა და ხვალ რბოლა შეიძლება არც ჩატარდეს. ყოველ შემთხვევაში, დღეს კვალიფიკაცია ნამდვილად არ შედგება.



მიხაელ შუმახერი გუშინ ყველაზე სწრაფი კი იყო, მაგრამ...

ასეთი უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღეს გუშინდელი „თავისუფალი პრაქტიკის შემდეგ მოწვეულ საგანგებო სხდომაზე ეტაპის ორგანიზატორებმა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად. ვარჯიში მართლაც საშინელ პირობებში, თავსხმასა და ძლიერ ქარში მიმდინარეობდა. ბოლიდებიც, ბუნებრივია, ტრასაზე დაღოღავდნენ — წრის გავლის დრო ათი-თხუთმეტი წამით გაუარესდა, თანაც პირველი ცდა რვა პილოტმა ვერ დაასრულა.

ორივე გასვლაზე „უსწრაფესი“ იყო მიხაელ შუმახერის ბედაური, თუმც, ცხადია, მასაც ძალიან გაუჭირდა, ცუდი ხილვადობისა და აკვაპლანინგის გამო მანქანას გზაზე ძლივს ვაკავებდიო.

ერთი სიტყვით, არა მხოლოდ მრბოლების, მაყურებელთა უსაფრთხოების გათვალისწინებითაც გადაწყდა, კვალიფიკაცია ხვალ დილით, რბოლამდე ჩატარდეს. ოღონდ, თუ ქარიშხლის გამო ესეც ვერ მოხერხდა, პილოტები სტარტზე წინა, ჩინური ეტაპის შედეგების მიხედვით განლაგდებიან. პირველ პოზიციას ფერარელი რუბენს ბარიკელო დაიკავებს, მის გვერდით BAR-ელი ჯენსონ ბატონი დადგება, ხოლო მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი გზას მე-12 პოზიციიდან გაუყვება.

იმედია, ტაიფუნ-ცუნამი ხვალ შუადღისთვის შესუსტდება და რბოლის ასე თუ ისე ნორმალურად ჩატარებას ხელს არ შეუშლის.

ფავორიტად ბრიტანელი ბუქმეიკერები შუმის კი თვლიდნენ, მაგრამ შესაძლოა, ხვალ მისი აქციები საგრძნობლად დაეცეს. ცნობისთვის, მიხაელი ხუთი მოგებით და შვიდი პოულით „სუძუკას“ რეკორდსმენია. დღევანდელებიდან მის გარდა იქ ბარიკელოს გაუმარჯვია.

ბოლოს იმაზეც, რომ მსგავსი ღვთის რისხვა იაპონურ ეტაპს ათი წლის წინაც დაატყდა — დღის ორ საათზე ქარიშხლის და ნისლის გამო პროჟექტორები ჩართეს ტრასის გასანათებლად, რბოლა კი მაინც შეწყდა, მე-13 წრეზე და მხოლოდ გამოდარების შემდეგ გაგრძელდა.



გუშინ „თავისუფალი პრაქტიკა“ საშინელ პირობებში ჩატარდა

# სიმართლე, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე!



რუსუდან ხოფერია

## ვინ დაუკრავს როიალზე?

### გუშინ „ტანვარჯიშის ხსნის კავშირი" დაარსდა

*საქართველოს „ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციაში" მალე პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება და წინასაარჩევნო ბატალიებიც უკვე გახურდა. გუშინ სპორტის აკადემიის საპრესკონფერენციო დარბაზში ძირითადად თავი მოიყარეს პრეზიდენტობის კანდიდატ ნოდარ მაკალათიას მომხრეებმა, თუმცა არც თავად მოქმედი პრეზიდენტის ომარ ღონლაძის მხარდამჭერები იყვნენ ცოტანი. შეკრებას თავად ღონლაძეც ესწრებოდა.*

შეკრების მთავარი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ დამსწრე საზოგადოებას განეხილა ქართულ ტანვარჯიშში შექმნილი სავალალო მდგომარეობა, მისი გამომწვევი მიზეზები, ეპოვა გამოსავალი და დაეარსებინა, ეგრეთ წოდებული, „ხსნის კავშირი", რომელსაც სათავეში ნოდარ მაკალათია ჩაუდგებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, „კონსტრუქციული დიალოგი" მალე „საბრალდებო მონოლოგებად" იქცა, რამაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. თუმცა მოდით, ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ.

სხდომა თავიდანვე უცნაურად დაიწყო. საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა ლიდერმა როლანდ კობახიძემ რეგლამენტი გაგვაცნო და გამოგვიცხადა, გამომსვლელებთან თუ რაიმე შეკითხვა გაგიჩნდათ, წერილობით მოგვაწოდეთ, რომ რეპლიკებს ადგილი არ ჰქონდესო — მარგამ ამის მიუხედავად, რეპლიკებსაც ჰქონდა ადგილი, კითხვაც იშვიათად თუ ებადებოდა ვინმეს და წერილობით გადაცემაზე ხომ არც არავის უფიქრია.

ამის შემდეგ ბატონმა როლანდმა მიმოიხილა ქართულ ტანვარჯიშში შექმნილი მძიმე ვითარება. სიტყვებზე „ქართული ტანვარჯიშის სახეობები სულს ღაფავს" დარბაზიდან რეპლიკა გაისმა, ყველა სახეობა არაო. ამ სიტყვების ავტორი ბატუტისტთა მთავარი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი აღმოჩნდა, რომელმაც შემდგომში უკვე ტრიბუნიდან სცადა ჩვენს ქვეყანაში ბატუტის განვითარების სურათის დახატვა, თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით...

პირველად ტრიბუნაზე პრეზიდენტობის კანდიდატი ნოდარ მაკალათია ავიდა. მან ზოგადად მიმოიხილა ქართული ტანვარჯიშის ასწლოვანი ისტორია, ისაუბრა სპორტსმენთა წარსულ მიღწევებზე და შემდეგ რეალობას დაუბრუნდა. კორუფცია, უშუქო, უწყლო და ჩამონგრეული დარბაზები, სპორტსმენთა და მწვრთნელთა უხელფასობა, თანხების არამიზნობრივი ხარჯვა და მითვისება — ასეთი სურათით წარსდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე, ყოველივე ამის მთავარ მიზეზად კი ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტი ომარ ღონლაძე დასახელდა. ბატონმა ნოდარმა აქვე დასძინა, რომ ღონლაძე და მისი გუნდი არჩევნების გაყალბების გზით აპირებენ შემდეგი ვადით ფედერაციის სათავეში დარჩენას და თუ ამის საშუალება მივეცით, ქართული ტანვარჯიში დაიღუპებაო.

არ დააყოვნა თავად პრეზიდენტის რეაქციამაც და ფეხზე წამომდგარმა იკითხა, თქვენ აქ ჩემი ლანღძვის საიუბილეო საღამოზე მომიწვიეთ, თუ რაშია საქმეო.

ბატონმა ნოდარმა კი მას შემდეგ, რაც ტანვარჯიშის სავალალო მდგომარეობაზე შეგვატყობინა, ზოგადად ისიც თქვა, რისი გაკეთება იქნებოდა კარგი მდგომარეობის გამოსასწორებლად. დარბაზების გარემონტება, სპეციალისტების მივლინება, ხელფასების დარიგება და ასე შემდეგ. თუმცა სიმართლე ითქვას, ეს გეგმები უფრო ზოგად ხასიათს ატარებდა. მწვრთნელმა რომ ხელფასი უნდა მიიღოს და ტანმოვარჯიშე გაყინულ დარბაზში არ უნდა ვარჯიშობდეს, ეს ისედაც ლოგიკური და გასაგებია.

მეტად პათეტიკური იყო საინიციატივო ჯგუფის ლიდერის როლანდ კობახიძის გამოსვლა. მან მოხსენება ასე დაიწყო: „სიმართლე, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე უნდა ითქვას. სიმართლე არაა მთა, ტყე ან ზღვა, სიმართლე ფოთოლია, წვეთია და სიმართლე ყოველთვის ერთია ქვეყნად"...

მას შემდეგ, რაც დარბაზში მყოფებმა ეს სიტყვები გაანალიზეს, ორატორმა საბოლოოდ დაგვარწმუნა თავის პირდაპირობაში და მოქმედ პრეზიდენტს მიახალა, შენ და შენი დამქაშები დასაჭერები ხართ და მალე შევარდნაძე-აბაშიძის გზას გაგიყენებთო, რაზეც ღონლაძის მხრიდან მიიღო, თავად არ მუშაობდი შევარდნაძის დროს ორგანოებშიო? ბატონმა როლანდმა კი განაგრძო და ბოლოს ისიც გაიხსენა, ფედერაციის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ფედერაციის კუთვნილი როიალი რომ აჩუქა ერთ-ერთ ქალბატონს (როგორც გაირკვა, ეს ქალბატონი ოლიმპიელი ბატუტზე მხტომელი რუსუდან ხოფერია აღმოჩნდა, რომელიც თავადაც ესწრებოდა ყრილობას). ამის მერე ატყდა თუ ატყდა ერთი ამბავი. ღონლაძე ამტკიცებდა, როიალი წესდებიდან გამომდინარე, ყველა წესის დაცვით გადავეცით ხოფერიას სპორტული მიღწევებისთვისო, ოპოზიცია კი ამის დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობას უჩიოდა.

მომდევნო გამომსვლელთა მონოლოგები ერთმანეთს ჰგავდა. ყოველი მათგანი ამჟამინდელი ფუნქციონირების ქმედითუუნარობას ამტკიცებდა და მათი სასწრაფოდ შეცვლის აუცილებლობას განმარტავდა. თუმცა გამოსავლის ძიება ამაზე შორს არ წასულა და კონკრეტული გეგმა არავის შემოუთავაზებია.

სიტყვით გამოსვლის უფლება თავად ომარ ღონლაძესაც მიეცა, თუმცა ვაი, ასეთ უფლებას, ყველა მხრიდან რეპლიკები გაისმოდა. ერთ-ერთ კითხვაზე კი, სად გაქრა 180 000 ლარი, რომელიც ტანვარჯიშის ასაღორძინებლად ბადრი პატარკაციშვილის ფონდმა გამოყოო, ღონლაძემ მაინც სცადა პასუხის გაცემა — ჯერ ერთი, 178 200 ლარი იყო და აქედან 22 500 ლარად სპორტკომპლექსში ჭერი შევაკეთეთ, დანარჩენით სპორტული ინვენტარი შევიძინეთ და ხელფასები გავეცითო (აქვე მოგახსენებთ, რომ ტრიბუნაზე გამოსულმა ზოგიერთმა მწვრთნელმა აღნიშნა, თვეების განმავლობაში ხელფასი არ მიგვიღიაო, ერთმა კი ისიც თქვა, სატანვარჯიშო დარბაზში ჭერის შეკეთებისას გუდრონს თვითონ ვასხამდიო). თუმცა არც ერთ და არც მეორე მხარეს სათანადო მტკიცებულებები არ მოუყვანია.

რეპლიკების ავტორთაგან ყველაზე მეტად ისევ როლანდ კობახიძე აქტიურობდა და ღონლაძის კითხვაზე, გაჩერდები თუ არაო, უპასუხა, თქვი, მექრთამე რომ ხარ და გავჩერდებიო.

ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ომარ ღონლაძემ და მის მომხრეთა უმეტესობამ დარბაზი დატოვა. ტრიბუნაზე რუსუდან ხოფერიასა და ყოფილი ქართველი ბატუტისტის ანა დოღონაძის მწვრთნელი ზაურ სულაშვილი ავიდა. მეორედ აგორდა როიალის თემა და იმდენი ილაპარაკეს, ისიც კი გაირკვა, რომელი ქარხნის გამოშვებული ყოფილა: თავის ადგილზე დაბრუნებულმა ბატონმა ზაურმა ისიც კი გადაულაპარაკა რუსუდანს, ნუ გეშინია, მაგ როიალს ვერავინ წაგართმევსო.

ცოტა ხანში დარბაზი ღონლაძის უკანასკნელმა მომხრეებმაც დატოვეს და ოპოზიცია უფრო თამამად შეუდგა „ტანვარჯიშის ხსნის კავშირის" დაფუძნებასა და მისი დებულების მიღებას.

ყველაფერი ძალიან მარტივად მოხდა. ბატონმა როლანდმა იკითხა, ვინ არის თანახმა, რომ კავშირი დაფუძნდესო და აწეული ხელების გადათვალიერების შემდეგ გამოაცხადა — დაფუძნებულიაო. შემდეგ კი დადგენილებაც გაგვაცნო, რომლის ტექსტის ბოლომდე მოტანა არ ღირს. ინებეთ ზოგადი შინაარსი.

ტანვარჯიშის სახეობათა გადარჩენისადმი მიძღვნილი შეკრების მონაწილეები შეშფოთებას გამოთქვამენ სფეროში შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამო და აღნიშნავენ, რომ ფედერაცია მოსწყდა თავის ძირითად საქმიანობას და ჩაეფლო კორუფციის ჭაობში. შეკრების მონაწილეები უნდობლობას უცხადებენ ფედერაციის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას და ეიმედებათ საქართველოს მთავრობის, კერძოდ კი სპორტის მინისტრის, ბატონი გოკა გაბაშვილის მხარდაჭერისა. აქვე მოყვანილია ღონისძიებათა ნუსხა, რომელიც „ტანვარჯიშის სახეობათა გადარჩენის" კომიტეტის" მიერ უნდა გატარდეს. მათგან მთავარი ადგილი შესაბამისი ორგანოების მიერ ფედერაციის ფინანსური საქმიანობის გადამოწმებას უჭირავს. გარდა ამისა დელეგატები ღრმა პატივისცემას გამოთქვამენ ბადრი პატარკაციშვილის ფონდის მიმართ და სვამენ კითხვას, სად გაქრა ამ ფონდის მიერ გამოყოფილი თანხები. ისინი აგრეთვე თხოვნით მიმართავენ საქართველოს პირველ ქალბატონს სანდრა რულოვსს, სათავეში ჩაუდგეს ქართული მხატვრული ტანვარჯიშის აღორძინების ეროვნულ ხაქმეს. დებულების ბოლოს კი კომიტეტი თხოვნით მიმართავს მედიას, საკუთარი წვლილი შეიტანოს ტანვარჯიშის სახეობათა პოპულარიზაციის საქმეში.

თვით ამ დებულებაშიც არის ბრალდება, რომ ფედერაცია სათანადო ყურადღებას მხოლოდ ბატუტს აქცევს, მაგრამ ამ დოკუმენტის წაკითხვის შემდეგ ეს თემა აღარ წამოჭრილა და დამსწრე საზოგადოებამ შეადგინა „ხსნის კავშირში" გაერთიანებული მუშაკების 12-კაციანი. სია.

საბოლოოდ კი ყველაფერი ალბათ ფედერაციის არჩევნებზე გაირკვევა. მართლაც საინტერესოა, ვის დარჩება როიალი „Красный Октябрь".

ლადო ჶულუკიძე

---



| ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. მესამე ტური |
|---|
| I ჯგუფი |
| ჩეხეთი 4:1 რუმინეთი |
| II ჯგუფი |
| ალბანეთი 1:2 დანია |
| უკრაინა 1:0 საბერძნეთი |
| თურქეთი 1:0 ყაზახეთი |
| III ჯგუფი |
| ლუქსემბურგი 0:4 რუსეთი |
| სლოვაკეთი 3:1 ლატვია |
| IV ჯგუფი |
| ისრაელი 1:1 შვეიცარია |
| საფრანგეთი 1:0 ირლანდია |
| V ჯგუფი |
| ბელარუსი 2:3 მოლდოვა |
| შოტლანდია 0:2 ნორვეგია |
| სლოვენია 0:3 იტალია |
| VI ჯგუფი |
| აზერბაიჯანი 0:2 გერმანია |
| ავსტრია 0:3 პოლონეთი |
| ინგლისი 2:0 უელსი |
| VII ჯგუფი |
| ბოსნია 1:3 სერბეთი |
| ესპანეთი 2:2 ბელგია |
| VIII ჯგუფი |
| ხორვატია 1:0 ბულგარეთი |
| მალტა 1:0 ისლანდია |
| შვედეთი 2:1 უნგრეთი |

| 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მტაპი. აფრიკა |
|---|
| III ჯგუფი. IV ტური |
| ლიბია 2:1 ეგვიპტე |

| საფრანგეთი |
|---|
| ლიგის თასი. 1/16 ფინალი |
| *დიჟონი* 1:0 ნიორი |
| ნანსი 2:2დ.დ.(პენ.3:5, 2:2) *რეიმსი* |

| ინგლისი |
|---|
| I ლიგა. XIII ტური |
| ლუტონი 3:0 ჰარტლპული |
| ბორნმუთი 2:1 სტოკპორტი |
| დონსი 1:2 ბრედფორდი |
| პორტ ვეილი 2:0 დონკასტერი |
| II ლიგა. XIII ტური |
| ჩელტენემი 0:0 ჩესტერი |
| ნორთჰემპტონი 0:1 გრიმსბი |
| როჩდეილი 2:1 იოვილი |
| შრიუსბერი 0:1 რაშდენი |
| საუთენდი 2:1 ბოსტონი |
| სუონსი 1:0 მენსფილდი |
| სკანთორპი 2:0 უიკომბი |
| კონფერენსლიგა. XII ტური |
| უოქინგი 2:1 ჰალიფაქსი |

| გერმანია |
|---|
| ჩრდილოეთ რეგიონალლიგა VIII ტური |
| ბრაუნშვაიგი 1:0 კილი |
| სამხრეთ რეგიონალლიგა VI ტური |
| ელვერსბერგი 3:0 მაინცი (მ) |
| პფულენდორფი 2:1 მიუნხენი (მ) |
| ზიგენი 0:0 კიკერსი |
| დარმშტადტი 0:1 ფოიხტი |

| ჰოლანდია |
|---|
| II დივიზიონი. IX ტური |
| ემენი 1:4 აპელდორნი |
| ჰელმონდი 2:0 იგლსი |
| მაასტრიხტი 3:1 ეინდჰოვენი |
| ოსი 1:2 სპარტა |
| ვოლენდამი 2:0 ვეენდამი |

| ირლანდია |
|---|
| პრემიერლიგა. XXX ტური |
| შემროკი 0:0 დერი სიტი |
| ბოჰემიანსი 2:2 სენტ პატრიკსი |
| დროჰედა 2:5 შელბურნი |

| შვეიცარია |
|---|
| ჩელენჯლიგა. XI ტური |
| ბადენი 4:5 ვინტერთური |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სეპანგის წინ

კვირას მოტოსპორტის დიდი პრიზი თამაშდება, მალაიზიაში, სეპანგში. ეს კოხტა იქაური გოგოები მხარს ესპანელ ვარსკვლავს, სეტე გიბერნოს უმშვენებენ. ტრადიციული სამოსი, ღიმილი... ესპანელიც კარგ ხასიათზეა.



REUTERS სეპანგიდან




REUTERS შანხაიდან

# ამერიკა შანხაიურად




REUTERS შანხაიდან

აჰა! აი, ჩინელები სადამდე მივიდნენ. კარგ ამბავში, რა თქმა უნდა. იაპონელებს წესად აქვთ, თავის სტადიონებზე ბეისბოლის ამერიკული გუნდების მოწვევა და მათი დაჯახება, ჩინელებმა კი ნბა-ს გუნდების მოწვევა გადაწყვიტეს. შეყრის ადგილი შანხაია, ჩინეთის ყველაზე მაგარი ქალაქი. აქ ერთმანეთს შეხვდებიან „საკრამენტო" და „ჰიუსტონი", რომელშიაც ჩინელთა ვარსკვლავი იაო მინგი თამაშობს. შანხაიში კი მოდაში შემოსულა კალათბურთის ვარსკვლავებზე დაზომება: კლივლენდელი ლებრონ ჯეიმსი ქუჩის მთავარი გმირია.

# ელბერი ბაზრობაზე

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, აი, ასეთ პერსონაჟებსაც ნახავთ. „ლიონის" ბრაზილიელი ვარსკვლავი, ჯოვანი ელბერი საკუთარი წიგნის პრეზენტაციაზე ნოპერაციევი ჩასულა.



REUTERS ფრანკფურტიდან



REUTERS სენტ ენდრიუსიდან



# სენტ ენდრიუსის მოლზე

შოტლანდიაში, სენტ ენდრიუსის უძველეს საგოლფო ადგილას, დანჰილ ლინქზის ტურნირის, კინვსბორნის შეჯიბრი გახურებულა. მთელი ამერიკის ვარსკვლავობა იქ არის: კევინ კოსტნერი ხვრელს ეზომება, დენის ჰოპერი და სემუელ ჯექსონი, კი უდარდელად ხითხითებენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი პირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge